

# დიდგორობას ვერ ვიდიდგორეთ!


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2008 წელი.

№ 150 (6008)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ჩვენი ხალხი თავისუფლებას არ დათმობს!




საპროტესტო მიტინგი თბილისში, პარლამენტის შენობის წინ. 2008 წლის 12 აგვისტო

2

ⓞ შეგონება

## ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული

**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს**



თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო,

მოგმართავთ თქვენ, რუსეთის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს საქართველოსთვის და არა მარტო ჩემი ქვეყნისთვის მძიმე დღეებში.

როგორც ცნობილია, რუსული თვითმფრინავები ბომბავენ ქართულ სოფლებსა და ქალაქებს – მართლმადიდებლები კლავენ მართლმადიდებლებს!

დახოცილთა და დაჭრილთა შორის არიან ბავშვები, ქალები, მოხუცები, ჟურნალისტები... სულ ახლახანს დაბომბეს ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას რეზიდენცია, რომელიც საკათედრო ტაძრიდან 50 მეტრითაა დაშორებული. თვითონ მეუფე და მისი მორჩილები სასწაულით გადარჩნენ. იბომბება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები...

ასე რომ, რუსი მეომრების მიერ არ ხდება მხოლოდ ქართული სამხედრო დანიშნულების ობიექტების გაუვნებელყოფა, როგორც ამას რუსი ჟურნალისტები აცხადებენ.

რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ იმასაც, თითქოს ქართველები არიან ოკუპანტები, რომელთაც მოაწყვეს გენოციდი, რაც რბილად რომ ვთქვათ, ტყუილია.

იხ. 2 გვ.

6-8

## „დასავლეთისა და რუსეთის აქლემებს შუა საქართველო უსუსური კოზაკივით იჭყლიტება"...

5

## სკვითური მოდგმის ერთ, ისევ მოისტევე ციცილიზებული ქვეყნები?!

*ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო! მართლაც რომ ბნელი ღამეა საქართველოში. ჩვენ, ახალგაზრდა, მოუღონიერებელ, შიდა პრობლემებით დაქანცულ, დემოკრატიის მშენებელ ქვეყანას ნუთუ არავინ არ დაგვეხმარება?*

4

## რუსეთი თავისი მეაკვრული ოცნების აღსრულებას ლამობს

*დღევანდელი მსოფლიო უნდა მიხვდეს, რომ მოდის ახალი ჭირი, ამჟამად ჩრდილოეთიდან; თუ დაგაგვიანდათ, ბატონებო, მესამედ ისევ შეგინგრევენ მაგ მტკიცედ ნაგებ კარიბჭეებს! მათი ოცნება ხომ მსოფლიოში ბატონობა და რუსიფიცირებაა*

◉ შეგონება

# ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული

## საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს

(პირველი გვერდიდან)



ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ათასობით გარდაცვლილის, – როგორც ქართველების, ისე ოსებისა და რუსების გამო და დიდად ვწუხვართ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო და არის პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე. ჩვენ ადრეც ამის შესახებ არაერთხელ ვაცხადებდით და ახლაც იგივეს ვიმეორებთ. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ცხინვალის რეგიონი, – სამხრეთ ოსეთი არის ძირძველი ქართული მიწა, სადაც ოსთა ძირითადი ნაწილი XVII საუკუნეში გადმოსახლდა, ხოლო ოსეთის ავტონომია გასული საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტების მიერ შეიქმნა. ამიტომაც საზღვრების მთლიანობის აღდგენის მცდელობა არ შეიძლება შეფასდეს როგორც თავდასხმა ანდა ეთნოკონფლიქტი. ეს იგივეა, რომ მოულოდნელად რუსეთს შექმნას პრობლემა ნოვგოროდთან, ან სმოლენსკთან მიმართებაში და მან დაიცვას თავისი ტერიტორია. მითუმეტეს, რომ თქვენს ქვეყანას აქვს მსგავსი გამოცდილება ჩეჩნეთში.

ბატონო პრეზიდენტო, მე იმედი მაქვს თქვენი კეთილგონიერებისა.

ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული.

რუსეთ-ქართულ ურთიერთობებში მძიმე პერიოდები ყოფილა, მაგრამ სიტუაცია ღია საომარ მოქმედებამდე არ მისულა. ამიტომაც ეს არის განსაცდელი არა მარტო საქართველოსთვის, ანდა რუსულ-ქართული ურთიერთობისთვის, არამედ რუსეთისთვისაც.

აღნიშნული სიტუაციის გაგრძელება კატეგორიულად დაუშვებელია. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ვიდრე სრულად არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მუდამ იქნება დაძაბულობა და კონფლიქტის საშიშროება. ერთადერთი გამოსავალია ცეცხლის უსწრაფესად შეწყვეტა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებაა, რათა აღდგეს სამართლიანობა. სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობაც!

ვფიქრობ, ღვთის შეწევნით დავძლევთ დაპირისპირებას და ძმური ურთიერთობები კვლავ განახლდება.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხალხები მშვიდობითა და კეთილდღეობით, – ნათქვამია მიმართვაში.

◉ ???????

# ქართველების საპროტესტო აქციები ნიუ-იორკში გაეროს შენობის წინ

**11 აგვისტოს, ნიუ-იორკში უჩვეულოდ ცივი და ღრუბლიანი იყო.** საშინელი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ გაეროს შენობის წინ ქართველები დილაადრიან ჯიუტად მაინც იდგნენ გაშლილი დროშებითა და პლაკატებით. „საქათველო!!“, „საქართველო!!“, საქართველო!“, „ჯორჯია!!“, „ჯეორჯია!“, „ჯეორჯია!!“... ვაპროტესტებდით ავადსახსენებელ და ქრონიკულ ტკივილს: რუსების დაუფარავ და გაუგონარ აგრესიას სამშობლოს ტერიორიაზე, არა მარტო ქართველების წინააღმდეგ, არამედ საქართველოში მცხოვრები რუსების და სხვა ეროვნების ხალხის წინააღმდეგ. პროტესტანტებთან რამოდენიმეჯერ გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი **ირაკლი ალასანიაც** ჩამოვიდა. ქართველები ვითხოვდით საქართველოს დაბომბვის დაუყონებლივ შეწყვეტას, საერთაშორისო თანამეგობრობის დაუყონებლივ და უპირობო ჩარევას საქართველოს ოკუპაციის შესაჩერებლად, გაეროს ქმედით ჩარევას სისხლისღვრის შესაწყვეტად, პუტინ-მედვედევის ავანტიურის საერთაშორისო შეფასებას.




ნიუ-იორკში „ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს“ ორგანიებით 14 აგვისტოს მოეწყობა საპროტესტო სვლა გაეროს შენობიდან რუსეთის საელჩომდე, ხოლო მეორე ვდღეს ქართველები ვაშინგტონში გაემგზავრებიან, რათა ამერიკის დედაქალაქში გამოხატონ პროტესტი და უკიდურესი აღშფოთება რუსეთის მიერ წარმოებული ომის შეწყვეტის მოთხოვნით და საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

◉ ???????

# საქართველო დსთ-ს ტოვებს

**ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის შენობის წინ გამართული მიტინგზე გააკეთა.**



მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარესა და ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გამართული კონსულტაციების შემდეგ იქნა მიღებული.

ჩვენ ვტოვებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას და საბოლოოდ ვემშვიდობებით საბჭოთა კავშირს. მოვუწოდებთ უკრაინას და დსთ-ის სხვა წევრებს დატოვონ ეს ორგანიზაცია, – განაცხადა სააკაშვილმა.



**ჯი-ეიჩ-ენი**

# დაკანონდება ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ მათ დაკარგვას არ შევურიგდებით

**საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებად დააკანონებს, თუმცა ამ ტერიტორიების დაკარგვას არასოდეს არ შეურიგდება, ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ისაუბრისას. მისი თქმით, პარლამენტის სპეციალური ინტერფრაქციული ჯგუფი მოამზადებს საკანონმდებლო აქტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.**

საქართველოს ყველა ის ტერიტორია, საქართველოს მიწის ყველა ის კვადრატული მეტრი, სადაც იმყოფებიან რუსული შეიარაღებული ჯარები უნდა გამოცხადდეს ოკუპირებულ ტერიტორიად, – განაცხადა ბაქრაძემ და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს ოკუპირებული ტერიტორიების გაწმენდა და ოკუპირებული ტერიტორიების შემოერთება.

ჩვენ მოვახერხეთ არ დაგვეშვა ბოლომდე რუსული გეგმები. ჩვენი ამოცანაა ეს 5 დღე რაც შეიძლება ძვირად დავუსვათ იმ ადამიანებს, ვინც ეს ჩაიდინა და ეს ძვირად დასმა არ წყდება მხოლოდ დღეს და არ წყდება მხოლოდ ხვალ. ეს ძვირად დასმა უნდა გრძელდებოდეს მთელი მომავალი წლების განმავლობაშიძ, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ პარლამენტის სხდომაზე საუბრისას.

# რუსეთს სურს საკუთარი მოქალაქეების დაცვა, საერთაშორისო თანამეგობრობას კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა

**მოსკოვში რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრა შედგა. დიმიტრი მედვედევმა და ნიკოლა სარკოზიმ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს.**

მედვედევის განცხადებით, რუსეთი წყვეტს სამხედრო ქმედებებს იმიტომ, რომ მათი მისია შესრულებულია.

საქართველოს მიმართ რუსეთს ორი მოთხოვნა აქვს: ქართველი სამხედროების დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნება და დემილიტარიზაცია; ცეცხლის განუახლებლობის შესახებ დოკუმენტზე ხელმოწერა.

საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მიაჩნია, რომ რუსეთმა თავისი ძალები მშვიდობისთვის უნდა გამოიყენოს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწვეტილების მიღება, ის სიახლეა, რასაც ევროპა და საფრანგეთი რუსეთისგან ელოდა. მთავრია ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქნას მოყვანილი და სამხედრო ძალები ძველ პოზიციებს დაუბრუნდნენ. ევროპას მიაჩნია, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა და მსოფლიოს რუსეთში მშვიდობა სჭირდება. სრულიად ნორმალურია, რომ რუსეთს საკუთარი მოქალაქეების დაცვა სურს, ნორმალურია ისიც, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას სურს დაიცვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ! განაცხადა სარკოზიმ.



საფრანგეთის პრეზიდენტმა რუს კოლეგას გადასცა დოკუმენტი, რომელიც არსებული პრობლემის მოგვარების გზებს ეხება.

# ჩეხებისთვის ჩვენი უბედურება არ ახალია

**ჩეხურ ინტერნეტსაიტებზე საქართველო-რუსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ქართველი ხალხისადმი მოწოდებები ქვეყნდება შეტყობინება ქართველებს: „მედგრად“.**

მასალაში საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიასა და რუსეთის მიერ 1968 წელს ჩეხეთის მიმართ განხორციელებულ იგივე ქმედებაზე.

აღნიშნულ მოწოდებას პრაღის პირველი აკადემია ძპედაგოგისძ დირექტორი ზდენეკ ოკუნეკი ეხმაურება, რომელიც აღნიშნავს, რომ ჩეხეთისთვის, ნებისმიერი ჩეხისთვის გასაგებია ის რაც ამჟამად საქართველოში ხდება.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი ასობით საქართველოს მოქალაქის დაღუპვის გამო. თქვენი ქვეყანა წავიდა სწორი გზით – დემოკრატიის, თავისუფლების, პროგრესის გზით. რომ არ ყოფილიყო 1948 წელი, როცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობაში მოვიდნენ კომუნისტები და 1968 წელი, როცა საბჭოთა კავშირმა ტანკებით ჩაახშო პრაღის გაზაფხული, ჩეხეთი ევროპაში ერთერთ წამყვან პოზიციას დაიკავებდა. როგორც მცირე ერის წარმომადგენელი ევროპის ცენტრში, ვკიცხავ საქართველოზე რუსეთის ვერაგულ თავდასხმას, რომელიც ძალიან მაგონებს 1968 წლის აგვისტოს. მეგობრებს კრემლში დაავიწყდათ, რომ საბჭოთა იმპერიის ეპოქა წავიდა და რომ საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფის რომ გახდეს განვითარებული და საიმედოდ დაცული ქვეყანა. ღმერთი გფარავდეთ, – ნათქვამია ზდენეკ ოკუნეკის წერილში.

№ 150. ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2008 წელი.

# გამოუცხადებელი ომის ექო

## რუსეთი „დიდი რვიანიდან“ დე ფაქტოდ გარიცხეს

**დასავლეთის ქვეყნების ქცევაში რუსეთის იზოლაციის ნიშნები უკვე აშკარად შეინიშნება, — ამის შესახებ აფხაზეთის მედია-ცენტრი იუწყება.**

„დიდი რვიანის“ წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთში არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით, სატელეფონო კონფერენცია ჩაატარეს. მათ განიხილეს, თუ როგორი დიპლომატიური საშუალებებით შეიძლება რუსეთზე ზეწოლის მოხდენა, — აღნიშნა ბრიტანეთის მინისტრმა ევროპის საკითხებში ჯიმ მერფიმ.

„დიდ შვიდიანში“ რუსეთის შემოერთების შემდეგ და ამ კლუბის დიდ რვიანად გადაქცევისას, რუსეთის მონაწილეობის გარეშე არც ერთი პოლიტიკური საკითხი არ განხილულა. „დიდი შვიდიანი“ მხოლოდ ფინანსური საკითხების განსახილველად იკრიბებოდა, ამ საკითხში რუსეთს მისი არასაკმარისი ეკონომიკური განვითარების გამო არ რთავდნენ. ახლა კი დასავლეთის ქვეყნებმა დე ფაქტოდ გარიცხეს რუსეთი „რვიანიდან“, — ყოველგვარი ოფიციალური განცხადებებისა და განხილვის გარეშე. რუსეთის წარმომადგენელი უბრალოდ სატელეფონო კონფერენციაში მიწვეული არ იყო.

## ლავროვმა სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლა მოითხოვა

**რუსეთი შეცვლის მიდგომებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მოლაპარაკებების მიმართ. ამის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ფინელ კოლეგასთან ალექსანდრ სტუბთან მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა.**




ლავროვმა ხაზგასმით დაადასტურა რუსეთის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პარტნიორი მშვიდობიანი მოლაპარაკებებისას.

არ მგონია, რომ რუსეთს ექნება იმის ხასიათი სააკაშვილთან არათუ აწარმოოს მოლაპარაკებები, არამედ ისაუბროს. მან დანაშაული ჩაიდინა ჩვენი მოქალაქეების მიმართ, — განაცხადა ლავროვმა.

ლავროვმა, ფაქტობრივად, ღიად მოითხოვა სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლა.

უმჯობესი იქნება თუ ის წავა, — განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის ოკუპაციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი რუსეთის მიერ საქართველოს საოკუპაციო ქმედებებს „სამშვიდობო მისიის“ შესრულებას უწოდებს და საერთაშორისო საზოგადოებას „რუსეთისათვის სამშვიდობო მისიის შესრულებაში“ ხელის შეშლაში ადანაშაულებს.

სერგეი ლავროვი საქართველოს სამხრეთ ოსეთი ხალხის გენოციდში ადანაშაულებს.

## აშშ რუსეთისგან უპასუხო კითხვებზე პასუხს ითხოვს

**გაეროში აშშ-ის დელეგაცია რუსეთისგან უპასუხო კითხვებზე პასუხის გაცემას ითხოვს.**

უშიშროების საბჭოს სხდომაზე კვლავ კატეგორიულად მოვითხოვეთ რუსეთისგან პასუხი კითხვაზე, რატომ აგრძელებს რუსული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციებს მაშინ, როდესაც საქართველომ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი და რატომ სცდება რუსეთის მანევრები კონფლიქტის ზონებს, თუ მოსკოვის განცხადებები იმის შესახებ, რომ ის სამშვიდობო ოპერაციას ატარებს, სიმართლეს შეესაბამება, — განუცხადა ჟურნალისტებს გაერო-ში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა.



მისივე თქმით, რუსული მხარე ასევე ვალდებულია, უპასუხოს კითხვას, რატომ ხსნის იგი მეორე ფრონტს აფხაზეთში, თუ მთელი ამ ოპერაციის მიზანს, სამხრეთ ოსეთში სტატუს-კვოს აღდგენა წარმოადგენდა.

## სენაკში ქართველ სამხედროთა ქონებას ანადგურებენ

**რუსეთის საოკუპაციო ჯარები სენაკში თავდაცვის სამინისტროს მე-2 ბრიგადის ბაზის ინფრასტრუქტურას ანადგურებენ.**

გუშინ დილიდან ქალაქში ისმოდა აფეთქებების ხმა. როგორც სენაკიდან იტყობინებოდნენ, რუსი სამხედროები ბაზის აეროპორტში არსებული ე.წ. „ანგარების“ აფეთქებებით იყვნენ დაკავებულნი.

თავად ბაზა ფაქტობრივად განადგურებულია.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ეს ქმედებები კეთდება იმისათვის, რომ ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით სროლები არ განახორციელოს, რაც ქართველი ექსპერტების განცხადებით, სენაკსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით აბსურდულ არგუმენტს წარმოადგენს.

**ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი**

*საქართველოს მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვის ქრონოლოგია გამოაქვეყნა.*

# რას სამშვიდობოთა „საქმენი საგმირონი“

● რუსულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს გორი. დაიბომბა ტერიტორია ადმინისტრაციის შენობისა და ქალაქის ბაზრის გარშემო.

● რუსულმა ავიაციამ დაბომბა კასპი. სამი ბომბი ჩამოაგდეს ჰეიდელბერგის ცემენტის ქარხანასთან (საქართველოს ორი ცემენტის ქარხნიდან ერთ-ერთი). ზარალის შესახებ ინფორმაცია არ არის.

● რუსულმა არმიამ აიღო გორი და დაბლოკა საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების დამაკავშირებული ცენტრალური გზა.

● რუსეთის ფედერაციის ოკუპანტური არმია წინ მიიწევს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონებს მიღმა. რუსეთის არმია მიიწევს გორისკენ. ქართული არმია უკან იხევს თბილისის დასაცავად. მთავრობა ელის სასწრაფო საერთაშორისო ჩარევას საქართველოს დაცემის და შემდგომი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.



● ოსი სეპარატისტები შეიჭრნენ ერედვის ახლოს მდებარე სოფელ ბელოტში, ტყვედ აიყვანეს სამოქალაქო მოსახლეობა და გამოკეტეს ისინი ადგილობრივ ეკლესიაში.

● რუსი ჯარისკაცები დაესხნენ და აიღეს გორის რაიონის სოფელი შინდისი.

● რუსულმა ავიაციამ დაბომბა გორის რაიონის სოფელი კარე.

● რუსი „სამშვიდობოები“ მძიმე ტექნიკით შეიჭრნენ ზუგდიდში ადგილობრივი პოლიციის განსაიარაღებლად.

● დაიწყეს ადმინისტრაციული შენობების დაკავება.

● სენაკის სამხედრო ბაზა დაიბომბა რუსული ავიაციის მიერ.

● პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელიც მომზადებულია საფრანგეთის, ფინეთის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ.

● რუსული ავიაცია ბომბავს ქართულ პოზიციებს ზემო აფხაზეთში.

● რუსულმა არტილერიამ საცეცხლე დარტყმა მიაყენა სოფელ ერედვს.

● სენაკის აეროპორტი დაიბომბა რუსული ავიაციის მიერ.

● დაიბომბა გორის სატანკო ბატალიონის ბაზა და ახლო მდებარე საცხოვრებელი სახლი.

● რუსულმა ავიაციამ დაბომბა შირაქის აეროდრომი დედოფლისწყაროს რაიონში.

● დაიბომბა სამოქალაქო რადიო-სალოკაციო სადგური მახათას მთაზე.

● ხელვაჩაურის რაიონის სოფლები შარაბიძეები, კაპანდიჩი, მახო დაიბომბნენ რუსული თვითმფრინავების მიერ. მსხვერპლი არ არის.

● დაიბომბა სამოქალაქო რადიო-სალოკაციო სადგური სოფელ შავშვებში.

● რუსულმა ავიაციამ დაბომბა „თბილავიამშენი“.

● რუსულმა ავიაციამ დაბომბა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

● რუსულმა თვითმფრინავებმა ანაკლია დაბომბეს.

● რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრეგორი კარასინმა გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის პირობები.

● ერთადერთ ხიდს, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აერთებდა, გაუჩნდა ხანძარი. ხანძარი ლიკვიდირებულია.

● რუსული ჯარი და აფხაზი სეპარატისტები იწყებენ საქვეითო თავდასხმას ზემო აფხაზეთზე. რეგიონი რუსული ავიაციის მიერ იბომბება.

● რუსული თვითმფრინავები ბომბავენ სოფ. კნოლევს, ქარელის რაიონის ჩრდ. ნაწილში.

● რუსული თავდასხმების შედეგად ათი აგვისტოს შუადღისთვის ცხინვალის და გორის რაიონებიდან 20.000-25.000 იძულებით გადაადგილებული პირია.

● ათი რუსული თვითმფრინავი უტევს კოდორს. საქართველოს საჯარისო შენაერთებმა ჩამოაგდეს ერთი თვითმფრინავი.

● რუსულმა თვითმფრინავმა დაბომბა ზუგდიდის რაიონის სოფელი ურთა.

● ქართული საჯარისო შენაერთები ტოვებენ ცხინვალს

● რუსული თვითმფრინავი შეიჭრა ქართულ საჰაერო სივრცეში დაღესტნიდან და სამი ბომბი ჩამოაგდო თბილავიამშენზე.

● 6.000 რუსი ჯარისკაცი, 90 ტანკი, 150 ჯავშანტრანსპორტიორი და 250 საარტილერიო დანადგარი შემოვიდა საქართველოში როკის გვირაბიდან.

● 4.000 რუსი ჯარისკაცი შევიდა ოჩამჩირის პორტში შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სევასტოპოლის პორტიდან.

● რუსული თვითმფრინავების მიერ კიდევ ერთხელ დაიბომბა ცხინვალთან ახლოს მდებარე სოფელი ტყვიავი.

● გორის დაბომბვის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთა შორის ერთი ბავშვი, ექიმი და უცხოელი ჟურნალისტიცაა. რუსულმა ბომბდამშენებმა გორში, გარდა ცენტრალური მოედნისა, იერეში მიიტანეს ქალაქის მთავარ ბაზარზე. აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს მთავრობამ დაადასტურა.

● ბაქო-სუფსის მილსადენზე რუსულმა ბომბდამშენებმა სამი ჭურვი ჩამოაგდეს. სამინისტროს ინფორმაციით, ორი ჭურვი მილსადენის გარშემო ჩამოვარდა, ხოლო ერთ-ერთი — მილში ჩაერჭო და არ აფეთქდა. სავარაუდოდ, დაზარალებულები არ არიან.

● რუსული ბომბდამშენების მიერ ქარელისა და კასპის რაიონების სოფლები საკორინთლო და რუისი დაიბომბა.

● ხაშურის რაიონის დაბა აგარასთან რუსულმა ბომბდამშენებმა ჭურვი ჩამოაგდეს. ჭურვი სამგზავრო სამარშრუტო ტაქსს დაეცა. არის მსხვერპლი.

პროტესტი

**რუსეთის მთავრობის ოკუპანტური ქმედებები არ ცხრება. თუ ამას ქმედება ჰქვია. დღევანდელი რუსეთის მთავრობა მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე საუკუნეში გადასახლდა (მგონი იქ იყო ყოველთვის...) და სუნთქავს და აზროვნებს იმ დროის ჰაერით.** შეიძლება მაშინდელ მსოფლიოსაც კი გააკვირვებოდა ამ ქვეყნის უპასუხისმგებლობა სხვა ერებისა და ტერიტორიების მიმართ და ველური მადა, რომლითაც იგი დღეს ჩვენს პატარა ქვეყანაში შემოიჭრა. რუსეთის მთავრობამ თავისი უზარმაზარი არმია საქართველოსკენ დაძრა... რუსული ტანკებით დაიფარა საქართველოს გზატკეცილების ასობით კილომეტრი, ქართულ ზეცაში ნავარდობენ რუსული ბომბდამშენები (მათ შორის 18 ჩამოაგდო ქართულმა საჰაერო დაცვამძ. ერთი სიტყვით, დღეს დეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთს დაწყნარებისა და დაშოშმინების სანაცვლოდ ფართო ავტონომია, ეკონომიური დამოუკიდებლობა, მოლაპარაკებები და დიალოგი შესთავაზა. ამის მომსწრე და გამგონე ვარ (ბევრს არც კი გვესიამოვნა „ფართო ავტონომიაზე“ საუბარიძ... და ხმამაღლა მინდა შევახსენო ყველას. ისიც კარგად ვიცით, აინუნშიც რომ არ აგდებდნენ საქართველოს მთავრობის წინადადებებს, ამ ჩვენი ძირძველი ქართული ცხინვალის ოსური დე ფაქტო ხელისუფლება ხმას არ იღებდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არანაირი გამოხმაურება! ქართულ სოფლებზე კი სისხლისმღვრელი და დამანგრეველი შეტევები უფრო გაძლიერდა... და ჩვენ, ყველამ ერთად, ყოველ შემთხვევაში აქტიური საზოგა-



# რუსეთი თავისი მზაკვრული ოცნების ალსრულებას ლამობს

ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთი ისე იქცევა თითქოს მსოფლიოს გლობუსზე მის გარდა სხვა არავინ არსებობს და როგორც კი მინიატიურულმა ქვეყანამ საქართველომ თავისი საზღვრების შემოხაზვა დააპირა, უმალ გამოექანა მის ჩასაყლაპად. თითო მოსახლეზე თითო ტანკი შემოაგრიალა. თუ რაიმე სამხედრო ძალა, სამხედრო მანქანა შეუქმნია რუსეთს ოდესმე, დღეს ყველაფერი საქართველოშია.

„დღეს ქილიკის დრო არ არის,“ ასე ჩამოყალიბდნენ ოპოზიციური პარტიები... ეს მაშინ, როდესაც სეპარატისტების მზაკვრულ ოინებზე წამოგებული ჩვენი ჯარი, ცხინვალში გამაგრდა. ეს უკანასკნელი ოპერაცია კი ჩატარდა მას შემდოების დიდმა ნაწილმა, ვიფიქრეთ, რომ მოვიდა საქართველოს სრულიად უსამართლოდ დაკარგული მიწების დაბრუნების დრო, მხნედ ვიყავით, მომავლის იმედით ერთ სულ და ერთ ხორც გაერთიანებულები... არ შეიძლება იმ განწყობის უგულებელყოფა, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ამ განწყობაზე აყოლა შეიძლებოდა... როგორც ჩანს, მაგრამ არც ჩვენი განწყობების რადიკალური ცვალებადობაა გასამართლებელი სიტუაციების ცვალებადობის მიხედვით

მერე რაც მოხდა, თითქოს ყველამ ვიცით, მაგრამ ახლა რალაც ეჭვი მეპარება, ვიცით კი? დიახ, ვიცი მხოლოდ ის, რასაც თვალით ვხედავ: დაბომბილი ქალაქები, სოფლები, დასახლებები, სავადმყოფოებიც და სკოლებიც კი. იბომბება ადგილები, სადაც რაიმე სამხედრო დანადგარები თუ საწყობები ეგულებოდათ. ილვრება საქართველოს უცოდველ მოქალაქეთა სისხლი.

ახლა მართლაც გვიახლოვდება კომუნისტურ-ნაცისტური აჩრდილი და ვაი თუ ვინმეს სულს ჭამს და იპყრობს. ვაი თუ ბილწმა აზროვნებამ ამაღლებულ გრძნობებს ავის მომასწავებელი ღრუბლებივით ჩამოაწვეს და მიწისკენ გააქანოს.

ქართველებო, გამოვფხიზლდეთ და ერთად დავდგეთ. არ მოხდეს ისე, რომ გავიმეოროთ ძველი შეცდომა. არ დავღუპოთ ქვეყანა და ჩვენი მომავალი. არავინ წამოეგოს შხამიან რუსულ ანკესზე. ვინ ეკითხება რუსეთს, ან ვინმეს სხვას, ჩვენი მთავრობის ავ-კარგიანობას, მის გადაყენებ-გადმოყენებას. ეს წმინდა და სათუთი საქმე მხოლოდ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების საქმეა. ხომ ვხვდებით რამხელა შეურაცხყოფას გვაყენებენ. არავის მივცეთ ჩვენი ღირსების შელახვის უფლებას. დრო მოვა და თუ რამ განსაკითხია, თავად ჩვენ განვიკითხავთ!

რუსეთმა სისხლიანი ჩექმებით შემოაბიჯა, ახლა უკვე სრულიად დამთრგუნველი ამბავი მესმის, რუსის ჯარი ზუგდიდის და სენაკის ტერიტორიას იკავებს და იქაურ საქმეებს „აწესრიგებს“, იქ დაბანაკდა. ჩვენ!... სადა ვართ ჩვენ? სად არიან ჩვენი პარტნიორები, ან ვინ არიან ისინი? მთელი მსოფლიო ალსდგა ვითომ... შეკრებები, თათბირები, რუსეთის აგრესიის დამგმობელი განცხადებები. რუსეთი კი ყრუა . არაფერი არ ესმის. ის წინ მიიწევს თავისი დიდი ხნის შავი ზრახვების ალსასრულებლად. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო! მართლაც რომ ბნელი ღამეა საქართველოში. ჩვენ, ახალგაზრდა, მოუღონიერებელ, შიდა პრობლემებით დაქანცულ, დემოკრატიის მშენებელ ქვეყანას ნუთუ არავინ არ დაგვეხმარება? თათბირების დრო და შეძახილები – შეწყვიტოს რუსეთმა საომარი მოქმედებაო, არაფრის მაქნისია. რუსეთმა ჯარები უნდა გაიყვანოს, საომარი მოქმედება თავისთავად შეწყდება!

**გულნარა სტურუა**

რუსთა თვალთახედვით

# სიტყვა

*ეს ჩანაწერი მომაწოდა ჩემმა ამხანაგმა, მწერალმა ქალმა ლარისა ვოლოდიმეროვამ, რომელიც არაერთხელ გამოსულა საქართველოს მხარეს. იგი ახლა ჰოლანდიაში ცხოვრობს. ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ბევრი რუსი ისე არ ფიქრობს, როგორც პუტინი და მედვედევი.*

*ია მერკვილაძე, „სრ“ საკ.კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი*

***ჩვენი პროპაგანდა უკვე მესამე დღეა ცდილობს რუსეთის შეჭრა საქართველოში გამოაცხადოს „მშვიდობისმყოფელ ოპერაციად“ — სწორედ ასეთი კეთილშობილი ტერმინით ცდილობს იგი გაამართლოს სხვის ტერიტორიაზე უცერემონიო შეჭრა და ქართული მშვიდობიანი ქალაქების დაბომბვები. და ოფიციალური კომენტატორი პროპაგანდისტების ხმაშეწყობილ გუნდში თითქმის არ ისმის მეორე მხარის ხმა — რუსეთის ბომბებისაგან განადგურებული პატარა რესპუბლიკის ხმა, რომელშიც ასეთი გასაოცრად კეთილგანწყობილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ეჭვს არ იწვევს, რომ იმისათვის, რათა მოიძებნოს ჭეშმარიტება, ნებისმიერ კონფლიქტში საჭიროა მოუსმინო მის ორივე მონაწილესაც — ჩვენ კი გვესმის მხოლოდ ერთის ხმა, დილიდან ღამემდე, განუწყვეტლივ... მით უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია ჩვენთვის ნებისმიერი პატიოსანი სიტყვა, ნებისმიერი ცოცხალი ხმა, რომელიც გაისმის არა კრემლის აგიტატორების მითითებით. ნიდერლანდში საქართველოს ელჩთან ინტერვიუ აიღო ცნობილმა სამართალდამცველმა და პოეტმა ლარისა ვოლოდიმეროვამ. აი მისი ნაამბობი — აქ, ჩემი აზრით, ვეღარაფერს დაუმატებ.***

„ვფიქრობ საქართველოზე, გაოცებული ვარ, უეცრად გავაცნობიერე, რომ არასოდეს არ შევხვედრივარ ქართველს – არაპატრიოტს. ხალხისათვის, რომელიც ასე მჭიდროდაა დაკავშირებული მიწასთან, თავად აზრიც კი მისი დაკარგვის შესახებ, რასაკვირველია, ველურად გამოიყურება. სხვა საქმეა ჰოლანდია... ქვეყანა, მართალია, პატარაა, მაგრამ ნიდერლანდელები ამაყობენ თავიანთი კოსმოპოლიტიზმით და იმით, რომ მათთვის ყველგანაა სახლი. ცივი ომის დროს ისინი უმთავრესად ყოველდღიურად ემზადებოდნენ, რათა „რუსების მოსვლის“ შემთხვევაში გაფრენილიყვნენ პირველსავე რეისით ავსტრალიაში ან ტაილანდში. და ეშინოდათ არა შემთხვევით: ეს რუსები მაინც „მოვიდნენ“. იმიგრანტები, ისეთები, როგორიც მე ვარ, რომელიც მერამდენე ათეული წელია უხსნის ჰოლანდიელებს, რომ ყველა ჩვენგანს გვყავს საერთო მტერი: რუსული ტოტალიტარიზმი. უშიშროების ფედერალური სამსახური, მყარი ძალით შეიჭრა არა მარტო ევროპაში, არამედ ავსტრალიაშიც ტაილანდთან ერთად. და, ბუნებრივია, ნიდერლანდშიც, რომელშიც აღმოდებული საქართველო წარმოდგენილია საკონსულოთი და საელჩოთი ჰააგაში, სადაც ამას წინათ ჩვენ ჟურნალისტები მიგვიღეს მაია ფანჯიკიძემ და ვახტანგ ჩხეიძემ. მათ გვიამბეს ტურისტული მარშრუტების შესახებ თბილისში. და ჩვენ განვიხილავდით ყველასთვის მნიშვნელოვან ახალ წიგნს ვ. მალსაგოვისას უშიშროების ლიბერალური სამსახურის შესახებ. და რომ არ გამოჩენილიყო მეორე სასწრაფო სამუშაო, მე ვიმუშავებდი მასზე ამჟამად მთებში: მე მინდოდა დამეწერა წიგნი ნებისმიერ ქვეყანასა და მის უბრალო ადამიანებზე, რომლებმაც გაუძლეს ომს. რატომ საქართველოს შესახებ?... იმიტომ, რომ ჩემი თაობისათვის ეს დიდი ქვეყანა განასახიერებს კულტურას, და ჩვენთვის უბრალო როდია ფიროსმანისა და გუდიაშვილის სახელები, უდიდესი დახვეწილი რეჟისორების პლეადები, ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“ და ქართული მრავალხმიანობა.

ჩემ ახლო მეხსიერებაში რუსული ტანკები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის წაეკიდებინათ საქართველოში მცხოვრები ხალხები, დაეხვრიტათ თბილისი, და ჩემი მეგობარი ქალი, რუსი მთარგმნელი ქართული ენიდან ნატაშა სოკოლოვსკაია. ის ტყვიების ქვეშ საბავშვო ეტლით გადარბოდა ერთი კედლიდან მეორისკენ, რათა დაემალა თავისი სხეულით ქართველი შვილიბიჭუნა. რატომ საქართველოს შესახებ?.. იმიტომ, რომ ახალი ომი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და იმიტომ, რომ იქ თითქმის მეზობლად იყო ჩეჩნეთი, რის გამოც უკვე მეორე ათწლეულია გული სისხლით მევსება.

როგორც კი გამოაცხადეს, რომ რუსმა ოკუპანტებმა „მოილაპარაკეს თბილისთან, შექმნან ბუნდოვანი კორიდორები“ სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილების ოკუპაციისათვის, მე უმალვე გამახსენდა და ეს არც არასოდეს დამავიწყდება! – ჩეჩნეთის ორი კორიდორი, დამიზნებით როგორ ანადგურებდნენ იგივე ფაშისტური ლუბიანკები. და თუ ჯერ კიდევ გუშინ დასავლეთის პოლიტიკოსები ერთმანეთს ამშვიდებდნენ, რომ „მედვედევი – ეს სულაც არ არის პუტინი“, დღეს უკვე, იმედი მაქვს, მათ ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ და მათი სურვილიც, გააგრძელონ თავიანთი თავის გაყიდვა იაფი ნავთობისა და გაზისათვის, ახლა უკვე სულ უფრო რთული შესასრულებელი ხდება.

მთელი მსოფლიო ეკრანებიდან თვალს ადევნებს, თუ როგორი ცინიზმით დაუსჯელად იქცევიან ისინი, არავის რომ ყურადღებას არ აქცევენ. კრემლმა აიძულა ოსეთი და აფხაზეთი, კადიროვის ჩეჩნეთის მსგავსად, დნესტრისპირეთი და ყირიმი, სადაც დასვა თავისი მარიონეტები, აღიარონ თავისი თავი ტოტალიტარიზმის მონებად. ხოლო ისინი კი, სადაც მათ არაფერი აქვთ დასაკარგი და ვისაც არ შეუძლია დუმილი, დიდი ხანია ავსებენ რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკების უსაზღვრო სივრცეებს.

მთელი მსოფლიო თვალ-ყურს ადევნებს, რომ კიდევ ორ ხალხს

პროტესტი

# სკვითური მოდგმის ერო, ისევ მოისტეპე ცივილიზებული ქვეყნები?!

**დანგრეული და ჩამორჩენილი რუსეთი ი. სტალინმა მსოფლიოში მოწინავე ქვეყნად აქცია, ლენინის და სვერდლოვისგან განადგურებული და მიწასთან გასწორებული ქვეყნის ინტელიგენცია ფეხზე წამოაყენა... 1939-1945 წ.წ. გაჩაღდა ისტორიაში გაუგონარი, გამანადგურებელი მეორე მსოფლიო ომი. ჰიტლერული ტარტაროზული სამხედრო ძალა მეხივით დაეცა საბჭოთა კავშირს და დაემუქრა სამუდამო ამოძირკვით — უკიდურესი განადგურებით.**

და ამ დროს რუსეთის მინგრეულ მანქანას უძლიერეს ფრთებად გამოესხნენ ი. სტალინი, ლ. ბერია და სრული გამარჯვებისკენ მიჰყავთ რუსეთის სახელმწიფო. მათ ფაშიზმი მოსპეს, ამ კაცთმოძულე ომში ასიათასობით რჩეულ ქართველთა სისხლიც ჩაიღვარა რუსულ მიწაში, მათივე ქვეყნის გადასარჩენად. მერმე ორმა დიდმა ქართველმა, დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქვეყანა არნახული ტემპით აღადგინა. კვლავ მსოფლიო მასშტაბით იფეთქა ახალმა, სრულიად პლანეტის დამანგრეველმა ძალამ. ამერიკა, ერთ დროს ი. სტალინის მოკავშირე, ატომურ ქვეყნად იშვა და რუსეთს დაუპირისპირდა. სასწაულებრივად, განსაკუთრებით ლ. ბერიას და ქვეყნის ბელადის, სტალინის მეცადინეობით, რუსეთი იქცა მძლავრ ატომურ სახელმწიფოდ და ორმა, რუსეთის ერთგულმა ქართულმა ფენომენმა ისევ გადაარჩინა რუსი ხალხი საშინელ ტრაგედიას...

ამ დროს რუსეთი ქამელეონივით ფერს იცვლიდა და თანდათანობით თავის ზნეობრივ სახეს ამჟღავნებდა. რუსეთი ჩამოყალიბდა ბოროტების იმპერიად. კომუნისტურ უზარმაზარ წითელ ფიალას რუსული შოვინიზმიდან გამოჟონილი საშინელი შხამი ეწვეთებოდა...

მათზე ამდაგვარი დემონური და სასწაულებრივი ზრუნვის შემდგომ, ი. სტალინი ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს უნამუსო და ბოღმა ერი, 63 წლის შემდეგ, მის მშობლიურ გორს ფაშისტურად დაბომბავდა და გაანადგურებდა. ან მიწის სიღრმეებში ჩამხედვარე ლ. ბერიას მოუვიდოდა აზრად, რას დამართებდნენ რუსები მას. აი, როგორ დაგიფასეს, ასიათასობით რუსეთისთვის თავდადებულო ქართველნო, არაადამიანურმა და უჯილაგო დღევანდელმა რუსებმა!



გაცხადდა ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება. 1918 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ეახლა პროლეტარიატის ბელადს, „ბუხარინის საყვარელს“, ლენინს. მათი დიპლომატიური საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთ-თავდაუსხმელობის დოკუმენტის შექმნა. თუ დაგესხმებით, თავი დაიცავითო, — სატანური ენის მოჩლექით უთხრა ჯალათმა ლენინმა ნ. ჟორდანიას.

გაოგნებული, გაკვირვებული და გამწარებული ნ. ჟორდანია, კრემლის საკმაოდ გრძელ დერეფანში ი. სტალინს შეხვედრია, მისალმებია, მოუკითხავს, ბოლოს სინანულით უთქვამს: სოსო, ტყუილად იკლავ თავს ამათი გულისთვის, საბოლოოდ არ დაგიფასებენ შენს დიდ ამაგსო!

ნ. ჟორდანიას წინასწარმეტყველება ახდა. რუსეთის ყოფნა-არყოფნის პერიოდში ქართველთა კეთილშობილურსა და თავგანწირულ ღვაწლს, დღესდღეობით, ბარბაროსული თავდასხმებით გვიხდიან. ისტორია თავისი შინაარსობრივი მსგავსებობით მეორდება. ბრმებს თვალი აუხილა მაცხოვარმა, კეთროვნები მოარჩინა, მკვდრები აღადგინა და მათ იყვირეს გოლგოთაზე უფლის ჯვარცმისას, ყაჩაღი ბარაბა გაანთავისუფლეთ, იესო კი ჯვარს აცვითო! სულის სიღრმემდე მტკივნეულია ასეთი ფაქტები, მაგრამ ჭეშმარიტება საბოლოოდ იმარჯვებს, ყველგან მძრომიალე ბოროტება კი ითრგუნება.

სკვითური მოდგმის ერო, ისევ მოისტეპე ცივილიზებული ქვეყნები?! ნუთუ მესამედაც გამოგივათ სხვადასხვა ეროვნებათა გამანადგურებელი იმპერიის გამოჩორკვნა, ბარბაროსებო, ყოველივეს ჩვენს ხარჯზე აპირებთ!? კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ მომხდარა ამდაგვარი სატანური სასწაული. თქვენზე ბევრად უფრო ნიჭიერსა და ღვთიურ ერებსაც არ გამოსვლიათ ხალხთა სისხლის მწოველი იმპერიის მესამედ შეკოწიწება. ბოლოს და ბოლოს, დღევანდელი მსოფლიო უნდა მიხვდეს, რომ მოდის ახალი ჭირი, ამჟამად ჩრდილოეთიდან; თუ დაგაგვიანდათ, ბატონებო, მესამედ ისევ შეგინგრევენ მაგ მტკიცედ ნაგებ კარიბჭეებს! მათი ოცნება ხომ მსოფლიოში ბატონობა და რუსიფიცირებაა.

ნორმანდიაში ჩემი შემოქმედებითი მუშაობისას, რუსეთის, კერძოდ, ერთ-ერთ წამყვან მოსკოველ აკადემიკოსთან მქონდა ურთიერთობა. ჩვეულებრივი სუფრის თუ ქეიფის შემდგომ, ღამე ნორმალურად დასვენებულნი, დილას ადრე შევხვდით ერთმანეთს. ჩემი მეპატრონის სასახლის მესამე სართულის ღია ფანჯრიდან გავყურებთ ნორმანდიულ პეიზაჟს. მოელოდნელად, უცხოდ და უაზროდ გამხედვარედ იქცა მისი თვალები; იმ წუთებში მე იქ არ ვიყავი მისთვის, სიღრმისეული და გადასხვაფერებული ხმით ამოიხრიალა: „რა კარგი იქნებოდა, მთელი მსოფლიო რუსეთი რომ იყოს!“ მე დაუფიქრებლად მივმართე: „მაშინ, ჩემო მეგობარო, მოსაწყენი იქნებოდა ქვეყანა-მთქი“.

ამდაგვარი ფანატიკური ეიფორიიდან გამოვიდა და მითხრა: — კარგი, რეზო, გვეყოს ოცნება! წავიდეთ ოკეანის სანაპიროზე და სუფთა ჰაერზე გავისეირნოთო.

ასეთი იდიოტური ოცნება და მისი განსახორციელებელი მოქმედებანი, როდესმე იქნება, დაღუპავს რუსეთს. ყოველთვის არ აღმოაჩნდებათ მათ წინამძღოლებად ი. სტალინი, პეტრე პირველი, ებრაული თუ გერმანული წარმოშობის ბელადები... არა და არ ეყო ამ ხალხს უსასრულო სივრცეები, მთები და გორები, ბარი და უკიდეგანო სტეპი. ყოველივე ესენი ზედმეტადაც აქვთ, მაგრამ გაუმაძღრობით გაავებულნი დღე და ღამე ცდილობენ, რომ დაიპყრონ სხვისი მიწები, ქვეყნები, ქალაქები, ერები, დიდი თუ პატარა. ძალაგებენ მთელს პლანეტაზე და ვითომდა ჭკუას ასწავლიან ხალხებს, დარიგებებს იძლევიან, გვმოძღვრავენ, შუამავლობენ და იქვე იპყრობენ. არადა, რუსი ერი არ არის მსოფლიოში ისეთი ნიჭიერი და კეთილშობილი ხალხი, რომ ასეთ ცივილიზებულსა და უძველესი ისტორიის და კულტურის მქონე ხალხს ჭკუას ასწავლიდეს. ამდაგვარი საქციელი ხომ ძალადგენიოსობაა, ან ბრიყვული — ყეყეჩობა.

**ისევ მინდა გავიმეორო: ოდითგანვე იმარჯვებდა ჭეშმარიტება, ხალხთა სიყვარული და სიკეთე, ეს ღვთიური მცნებები დროთა სვლას არ მორჩილობს და არცა ბარბაროსსა და გაველურებულ ერებს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

**რეზო ადამია,**
**ამ დღეებში რუსეთის ტირანიისგან გაწამებული მხატვარი,**
**2008 წ. 11 აგვისტო**

რუსთა თვალთახედვით

# საქართველოზე

არჩოქებენ ჩვენს თვალწინ, აიძულებენ ყველასათვის გასაგონად განაცხადონ თავიანთი გამოყოფის შესახებ, რათა თავიანთი ახლობლები დაიცვან. მიზნის შესახებ კი რამდენი დაწერილა: კოსოვოს გამოყოფის საბაბით კრემლი ხელიდან არ გაუშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ხელში ჩაიგდოს მიწები, რომლებიც ისტორიულადაც და კანონიერადაც საქართველოს ეკუთვნის. მთავრობა მშობლიურ დედას გაჰყიდის და ჩვენც თქვენთან ერთად, რათა გააგრძელოს ნავთობის ქურდობა და გაისქელოს ჯიბე ომში მოპოვებული ზღაპრული სიმდიდრით.

საქართველოს საელჩო ჰოლანდიაში განასახიერებს ნაწილს ჩემთვის წმინდა მიწისა, განუყოფელი მიწისა.

ელჩმა მაია ფანჯიკიძემ მითხრა: — ჩვენ მოგვმართავს ძალიან



ბევრი. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია მათი სახელების დასახელება, მაგრამ გვირეკავს და გვწერს უამრავი ადამიანი, პატიოსანი მოქალაქეები. მოგვმართავენ მხარდაჭერით ორგანიზაციები და ფირმები, თავად ჰოლანდიელები, აგრეთვე ნიდერლანდში მცხოვრები ქართველები.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ აგვიხსენით სიტუაცია: გვეუბნებოდით სიმართლეს. სიმართლეს იმის შესახებ, თუ რა ხდება იქ. უკანასკნელი მონაცემებით, ეს თქვენ შეგიძლიათ აღნიშნოთ, ჩვენ შევწყვიტეთ ცეცხლი და რუსეთის საელჩოს გადავეცით ნოტა. ჩვენი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით დილის ხუთი საათისათვის ცეცხლი შეწყდა და ჯარები გამოყვანილია კონფლიქტის ზონიდან. ამის შესახებ საუბარია ნოტაში, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა რუსეთის ფედერაციის კონსულს ანდრეი სმაგას. ჩვენ გავხსენით დერეფანი ლტოლვილთა გამოსვლისათვის. ჩვენ შევთავაზეთ რუსეთის მხარეს ვაწარმოოთ მოლაპარაკება საბრძოლო მოქმედებათა დამთავრების შესახებ, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ არის.

— თქვენ ხომ გახსოვთ ორი დერეფანი ჩეჩნეთში? ხალხმა დაუჯერა ოფიციალურ განცხადებას, წამოვიდნენ მშობლიური ადგილებიდან ბავშვებთან, მოხუცებთან ერთად და წავიდნენ იმ გზით, რომელიც ძალიან კარგად იმზირებოდა სროლისათვის. თქვენ არ გეშინიათ ასეთივე მოვლენების განმეორებისა? რუსეთის ხელისუფლება მზად არის დაგეგმოს ნებისმიერი მკვლელობა — და თქვენი მთავრობაც კი გაჰყიდოს.

— ჩვენ მხოლოდ შიში შეგვიძლია, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ, რასაც უნდა აკეთებდნენ ყველა ცივილიზებული ადამიანები.

... მე ასე ოფიციალურად არ მინდოდა დამემთავრებინა სიტყვა საქართველოზე — და ამ დროს მოვიდა წერილი რომან ჩორნისაგან, სანქტ-პეტერბურგის ადამიანთა უფლებების სამოქალაქო კომისიის პრეზიდენტისა და ექიმისაგან. რომანმა მწუხარებით მითხრა ის, რასაც ძალიან ბევრი გაიმეორებდა დღეს:

„ვზივარ და ვკითხულობ ცნობებს ომის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის და სხვა საიტებზე. მე ხომ ეთნიკური უკრაინელი ვარ, მაგრამ დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, დედაჩემი ნახევრად ქართველია. მე თბილისის გარეუბნებში, თავად თბილისში დამრჩნენ მეგობრები, ნათესავები, ბინაც.

**ახლა, მგონი, გაცილებით უკეთ მესმის ჩეჩენი ხალხის ტრაგედია“.**

**ელენა მაგლევანნაია,**
**ლარისა ვოლოდიმეროვა**

◉ გაზიარებული ჭირი ნახევარჭირიაო...

# „დასავლეთისა და საქართველო უსუსური

**— აცხადებს ბელგიელი მოქალაქე, ბატონი ომარ ხახაშვილი, რომელმაც, ამ გამომცემლობა „სამშობლოდან“, სხვა არა ერთ და ორ რედაქციასთან ერთად, გაზეთის, ამჟამად 90 წლის „საქართველოს**

***„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი უკვე კარგად იცნობს საქართველოდან „დევნილ“ ბელგიელ მოქალაქეს, ჩინებულ პუბლიცისტთა და პოლიტოლოგს, ბატონ ომარ ხახაშვილს, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში დროდადრო ინტერნეტით ადევნებს თვალყურს ჩვენს გაზეთს და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ თავის ნააზრევსაც ინტერნეტითვე აწვდის რედაქციას. ახლახან, ამჟამად საქართველოში შექმნილ მდგომარეობამდე, ბატონი ომარი თავის ოჯახის წევრებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და, რასაკვირველია, ჩვენი „დევნილი თუ ლტოლვილი“, უკვე 90 წლის რედაქციაც მოინახულა. ჩვენც, ბუნებრივია, ვისარგებლეთ ამ სასურველი ავტორის მოულოდნელი სტუმრობით და, ცხადია, ამჯერად ინტერნეტის გვერდის ავლით, უშუალოდ, პირისპირ როგორც იტყვიან, კითხვა-მიგებით ვიბაასეთ იმ მთისა და ამ ბარის ცხელ-ცხელ ამბებზე.***

***ქვემოთ სწორედ ამ ჩვენი ბაასის სრულ ტექსტს გთავაზობთ.***

**— ბატონო ომარ, რამდენი ხანია, რაც საქართველოში არ ყოფილხართ და ამჟამად რა მიზნით ჩამობრძანდით? სულ ხომ არ წამოხვედით ბელგიიდან? იქნებ უფრო „ანკეტურად“ გაეცნოთ ჩვენს (თქვენს) მკითხველს. ხახაშვილები სადაური ხალხი ხართ, ვისი გორისანი?**

— საქართველოში ბოლოს ერთი წლის წინათ ვიყავი. ვერ ვიტყვი, თითქოს თბილისი ისე შეცვლილი მეჩვენა, რომ ველარ ვიცანი. ხალხი კი უფრო დათრგუნული და უიმედო ჩანს. აქ მარტო „იმედის“ არხის გაუქმება არ იგულისხმება. პოლიტიკური დამარცხების განწყობილება იგრძნობა. ტელევიზორის ჩართვა არ გინდა, ისეთი ერთფეროვანი გადაცემებია. სრული ინფორმაციული ვაკუუმია, თითქოს ჭურში ვზივარ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გულით მინდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იძულებული ვარ, რომ ბელგიაში დაბრუნებაზე ვიფიქრო, ვიდრე სამშობლოში დაბრუნებაზე.

რაც შეეხება ჩვენს გვარს, მთიულები ვართ, თიანეთის რაიონის სოფელ საყდრიონიდან. წინაპრები კი დუშეთის რაიონიდან ყოფილან, გვარად ჩოხელები. ბევრმა ჩვენმა ნათესავმა უკვე აღიდგინა ძველი გვარი.

**— როგორ აღმოჩნდით ბელგიაში? რას საქმიანობთ პირადად თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები? როგორ „შეესისხლხორცეთ“ იქაურობას? რას წარმოადგენს დღეს ბელგიის ქართული დიასპორა? მოახერხეთ თუ არა იქ თქვენი პატარა საქართველოს შექმნა?**

— ბელგიაში 1995 წელს ჩავედი, ოჯახთან ერთად. საშინელი ვითარება იყო იმ დროს საქართველოში. თბილისის ქუჩებში განუკითხავად დათარეშობდნენ „მხედრიონისა“ და „გვარდიის“ შეიარაღებული ბანდები, იტაცებდნენ ადამიანებს, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, და არ არსებობდა არავითარი დაცვის მექანიზმი ხელისუფლების მხრიდან, რადგან თვითონ იყვნენ „ხელისუფლება“. ბელგიაში ჩასულებმა ადამიანებად ვიგრძენით თავი. მოგვცეს მოქალაქეობა და ვსარგებლობთ ყველა სამოქალაქო უფლებით. მე დანიშნული მაქვს ასაკობრივი პენსია, მეუღლე და ორი ვაჟიშვილი მუშაობენ წარმოება-დაწესებულებებში. მე და ერთ-ერთი ჩემი ვაჟიშვილი პარალელურად ნაფიც მთარგმნელობასაც ვეწევით სასამართლოში. ქართული დიასპორა მცირეა და ჯერჯერობით მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. გვაქვს კონტაქტები ქართულ ოჯახებთან, რომლებთან ერთადაც ჩვენი პატარა საქართველო გვაქვს შექმნილი. თვალს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ვმსჯელობთ მათ შესახებ. დიდ ქალაქებში მართლმადიდებლური ეკლესიებიც არის, სადაც ქართველობა იკრიბება.

**— თქვენს პოლიტიკურ ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, რას „გადმონერგავდით“ ბელგიიდან საქართველოში და რას არა? საერთოდ, როგორ უყურებთ ევროპას სოციალურად, პოლიტიკურად და ზნეობრივად? რით განსხვავდება ამჟამინდელი ევროპელი, როგორც თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის წარმომადგენელი, სხვათაგან, არაევროპელთაგან? ვთქვათ, ჩვენგან, კავკასიელთაგანაც? სუყველამ სუყველაფერი იმათგან უნდა ვისწავლოთ, თუ ზოგი რამ იმათაც აქვთ სხვათაგან სასწავლი?**



*ბატონი ომარ ხახაშვილი (მარცხნივ) სტუმრად „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში. მარჯვნივ გურამ გოგიაშვილი.*

*მურად ალაშვილის ფოტო*

— ჩემს ნებაზე რომ იყოს, ბელგიიდან საქართველოში გადმოვნერგავდი ხელისუფლების მიერ ხალხის პატივისცემას და ხალხის მიერ ხელისუფლების პატივისცემას. ისინი ერთმანეთზეა დამოკიდებული, მაგრამ პირველი განსაზღვრავს მეორეს. მოქალაქეთა გაუცხოება საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, ეს უპირველესად ხელისუფლების უპასუხისმგებლობისა და გაუკუღმართების შედეგია. ბელგიელები კანონმორჩილი ხალხია, რაც იმით არის განპირობებული, რომ მათ მიერ არჩეული ხელისუფლება ამომრჩეველთა ნებას გამოხატავს. ხელისუფალნი ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობენ და ხშირად ველოსიპედით დასეირნობენ ხალხთან ერთად.

ბელგიიდან საქართველოში გადმოვნერგავდი აგრეთვე ბიუროკრატიის არარსებობას და ადამიანების დროის პატივისცემას. წინა კვირაში საჯარო რეესტრში მომიხდა ყოფნა. გულწრფელი აღტაცება უნდა გამოვხატო ევროპული სტანდარტით მოწესრიგებული რიგითობის სისტემის გამო. შარშან აქ ზედახორა იყო, მაგრამ სამწუხარო ის დარჩა, რომ პრობლემა სარკმელთან მისვლით არ წყდება. ადამიანები თვეობით, წლობით ამაოდ ცდილობენ 50 წლის წინათ სათანადო ნებართვითა და პროექტით აშენებული სახლების დაკანონება-მემკვიდრეობის გაფორმებას, ფლანგავენ ძვირფას დროს. ბელგიაში ასეთი საქმეები ერთი 15-წუთიანი ვიზიტით წყდება. გადმოვნერგავდი აგრეთვე ადამიანების პატივისცემას ზოგადის, საზოგადოს მიმართ, რაც ყველაზე უფრო აკლიათ ქართველებს და რასაც, ჰეგელის თქმით, „ათასეული წლები დასჭირდა იმ ამბავს, რათა ის ადამიანთა გონებაში შეჭრილიყო“. ავიღოთ უბრალო მაგალითი: სადარბაზოს მიმდებარე ტერიტორია და საერთო კიბეები ნაგავში იხრჩობა, კარის ზღურბლიდან კი იწყება საოცარი სისუფთავე. ბელგიაში სისუფთავე სადარბაზოდან, ქუჩიდან,სახელმწიფოდან იწყება.ზოგადის პატივისცემას ემყარება მოქალაქეობრივი შეგნება, ეროვნული ერთიანობის გრძნობა, სახელმწიფოს მოთხოვნილება. ვისაც ზოგადის გაგება არა აქვს, ის სახელმწიფოს ვერ ააგებს. კრწანისის რეზიდენციას ან შუშის გუმბათიან სასახლეს ააგებს (აიგებსძ, მაგრამ სახელმწიფოს ვერ ააგებს. ისტორიულად ეს გაგება, ჩანს, არსებობდა ქართლში. ამიტომაც მოხერხდა „ქართლის ცხოვრებისა“ და „საქართველოს“ (სახელმწიფოსძ შექმნა.

ის კი, რასაც არ გადმოვნერგავდი, ეს არის ჩრდილოეთის ხალხებისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობა, რაც დეპრესიულ განწყობილებას წარმოშობს. ამ მხრივ, სამხრეთული, კერძოდ, ქართული გულგახსნილობა და თანაზიარობა უკეთესი გამოსავალია, რამდენადაც ადვილად ატანინებს ადამიანს გაჭირვებასა და პრობლემებს. გაზიარებული ჭირი ნახევარჭირიაო. აი, ეს თვისება არ აწყენდათ, რომ ჩვენგან ესწავლათ სხვებს.

ევროპელის ცდომილება მისი რაციონალიზმია, რაც მას ცივილიზაცია ჰგონია. იგი რაციონალისტურად განიხილავს ისეთ საკრალურ ცნებებს, როგორიცაა ოჯახი, ცოლი, ქმარი, მეგობარი. ამიტომ არის, რომ ოჯახი იშლება, მშობლებს მოხუცთა სახლში აბარებს, მეგობრობა უშინაარსო სიტყვას წარმოადგენს, უკეთეს შემთხვევაში, ლუდხანაში კომპანიის გაწევაა.

დეკარტმა ცუდი სამსახური გაუწია ევროპელ ადამიანს, თავის რაციონალობაში რომ დაარწმუნა: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“. სინამდვილეში, ადამიანი რელიგიური არსებაა. რელიგიურია იგი თავისი წარმოშობით და განვითარებით. ენა, ცნობიერება, თვით აზროვნება რელიგიური ფენომენებია. საკმარისია, რელიგიურ-საკრალური სამოსი გამოვაცალოთ ჩვენს ცნებებს, რომ ადამიანი იშლება და უბედურდება. ამიტომ თქვა ამას წინათ სიღნაღში ჩასიძებულმა ერთმა ამერიკელმა: „აქამდე ვიცხოვრე გონებით, ახლა მინდა ვიცხოვრო გულით“.

**— როგორ ხედავთ ევროპისა და ამერიკის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას? რა უნდა, თქვენი აზრით, ამერიკას ევროპისგან და ევროპას ამერიკისგან? ორივეს ერთად კი, რუსეთთან ერთად, საქართველოსგან?**

— ევროპა ჰუმანურ-სოციალურია, ამერიკა — პრაგმატულ-ლიბერალური. აქ გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, იქ — კვლავ ძალაშია. როგორც წესი, ღარიბები და სუსტები ისჯებიან სიკვდილით, ძლიერთ ეს არ ეხებათ. ევროპის დამოკიდებულება სხვა ქვეყნებისადმი კულტურულ-ეკონომიკურია, ამერიკისა — იმპერიულ-მტაცებლური. ამ წინააღმდეგობამ ერაყის ამბებშიც იჩინა თავი. ეს განსხვავება ვლინდება ნატოს დანიშნულებისა და მისი გაფართოების საკითხშიც. ევროპა ნატოს განიხილავს, როგორც თავდაცვის მექანიზმს, ამერიკა — როგორც თავდასხმის მექანიზმს. ევროპისთვის ნატოს გაფართოება საჭირო აღარ არის, ამერიკისთვის ეს კვლავ აქტუალურია. ამიტომ ევროპა ფეხს ითრევს საქართველოსა და უკრაინისათვის **მაპ**-ის მიცემაში, ამერიკა კი ცდილობს, რომ უმაპოდაც „შეათრიოს“ ისინი ნატოში. ყველაფერი უკეთ იქნებოდა, რუსეთი რომ ცოტა ნორმალური ქვეყანა იყოს. ენერგორესურსებით მდიდარი რუსეთი აღარ წარმოადგენს უწინდელ საფრთხეს დასავლეთისათვის, მაგრამ არა აქვს ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის ტრადიცია. ვაჭრობაში იგი „სულელებს ეძებს“ („დურაკოვ იშჩეტ“ძ, პატივს არა სცემს მაზანდას, ფასების ზომიერებას და ცდილობს კლიენტთა დახრჩობას, ფასებს უცებ, უყოყმანოდ ასამმაგებს თუ ახუთმაგებს. ამასთანავე, იმ კაცივით, ნალი რომ იპოვნა და ღმერთო სანალეთი ამოაგდეო, მომხმარებელს სხვა მიმწოდებლებს ართმევს, თავისი გზით სურს, რომ გაატაროს შუაზიური ენერგორესურსები. ეს რომ არა, ევროპა უფრო კეთილმეზობლურად განეწყობოდა რუსეთისადმი და მეტ წინააღმდეგობას გაუწევდა აშშ-ს. დასავლეთ-რუსეთის აქლემების შუაში უსუსური კოზაკივით იჭყლიტება საქართველო. მისი ფაფხური აქ ზედმეტიც არის და სახიფათოც. პრობლემებს დიდები გაარკვევენ. ის კი, უმჯობესია, დაელოდოს მოვლენების განვითარებას და თავისი ფუნქციის გარკვევას. ნაადრევი პროამერიკულ-ანტირუსული პოლიტიკა არამკითხე მოამბეობაა და, როგორც ყველა არამკითხეს, საქართველოსაც „მიტყეპა და მიგდება“ არ ასცდება.

**— რას ფიქრობთ ნატოს თაობაზე? წლის ბოლოსთვის საქართველო „გაიმაპებს“ თუ არა თავს? როგორ გესახებათ ნატოს სამომავლო მისია? ნუთუ მსოფლიო ისევ ორად უნდა გაიყოს: ერთ მხარეს ნატოს ქვეყნები და მეორე მხარეს დანარჩენი მსოფლიო? ეს ხომ იგივე მესამე მსოფლიო ომია?**

— ნატოში შესვლა საქართველოსთვის არც დამღუპველია და არც ხსნა. იგი ვერც ტერიტორიულ მთლიანობას აღგვიდგენს, ვერც დემოკრატიას დაგვიმყარებს. დამღუპველია არა ნატოში შესვლა, არამედ რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება. ამიტომ დიპლომატია ის არის, თუ შევალთ, ისე შევიდეთ, რომ რუსეთი არ გავაღიზიანოთ. რუსეთს აღიზიანებს არა იმდენად ის, რომ ამერიკა „მიგვათრევს“ ნატოში, არამედ ის, რომ ჩვენ მივიწევთ, თავს ვიკლავთ და ვყვირით, ქვეყანას ვიკლებთ იქ შესასვლელად. ამერიკა ისედაც „შეგვათრევს“ ნატოში. ეს მის ინტერესებში შედის და არა ჩვენში. ჩვენი ინტერესები მოითხოვს, დავანებოთ ამ საკითხის გადაწყვეტა ამერიკა-რუსეთის შეთანხმებას.

**— როგორც ხედავთ, ვითარება ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არცთუ სახარბიელოა. რა უნდა ქნას ამ „პატარა ქვეყანამ“, რა გზას უნდა დაადგეს? „ძველი გველეშაპისგან“ თავის დასაღწევად „ახალ გველეშაპს“ ხომ არ „უჩიჩქნის“ კბილებს? როგორ ჩანს ეს ყველაფერი ევროპიდან?**

— დიდი ქვეყნების ჭიდილში პატარა ქვეყნისთვის საუკეთე-

№ 150. ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2008 წელი.

**გაზიარებული ჭირი ნახევარჭირიაო...**

სო გამოსავალი, ცხადია, ნეიტრალიტეტია. ნეიტრალიტეტი დიდი ქვეყნებისავე გარანტიით. საქართველოს ნეიტრალიტეტის ბუნებრივი გარანტორები, ამერიკა-რუსეთთან ერთად, იქნებოდნენ ირანი და თურქეთიც. საქართველოს მისიაა, რომ იყოს ხიდი ამ ქვეყნების დასამეგობრებლად და არა უფსკრული მათი ერთმანეთზე გადაკიდებისათვის. გარანტირებული ნეიტრალიტეტი საქართველოს საშუალებას მისცემდა, რომ შეემცირებინა სამხედრო ხარჯები და აეყვავებინა ეკონომიკა. მხოლოდ ეს კია, საქართველოს ხელისუფლება ასე წარმატებით ველარ გამოიყენებდა არმიას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

# რუსეთის აქლემებს შუა კოზაკივით იჭყლიტება"...

დღეებში თბილისს სტუმრად ჩამოსულმა, მოინახულა შარშან 10 აგვისტოს ხელისუფლების მიერ უბოდიშოდ გამოძევებული ერთ-ერთი ყველაზე ძველი რესპუბლიკის" მავან კერძო ბინას შეკედლებული რედაქცია.

**— თქვენი წერილები „საქართველოს რესპუბლიკაში" იბეჭდება რუბრიკით — „შორიდან ახლოს", რაც სწორედ იმას ნიშნავს, თუ სოციალურად აჯანყებული და უკეთესი ბედის საძიებლად შორს წასული ქართველი კაცის თვალში როგორ ვჩანვართ ერთ დროს ახლოს მყოფი ადამიანები. თქვენ სულ სხვა საქართველოდან წახვედით, თქვენ უკან დარჩა წინა ორი პრეზიდენტის მიერ შექმნილი „დემოკრატიული საქართველო", რომელიც ძირფესვიანად უარყო ახალმა, ეგრეთ წოდებულმა „ვარდების რევოლუციის" პრეზიდენტმა და სრულიად ახალი ტიპის,ანუ ევროპულ-ამერიკული ტიპის დემოკრატიის „ცათამბჯენის" მშენებლობას შეუდგა. როგორ ფიქრობთ ან, უფრო სწორად, ამ „დემოკრატიის ცათამბჯენის" რამდენ სართულს ხედავთ უკვე? საერთოდ ევროპიდან მოჩანს ეს „მშენებლობა"? როგორც იცით ამჟამინდელი ხელისუფლება ხალხმა დიდი იმედებით მოილოდინა, მაგრამ რაც მიიღო, იმასაც კარგად ვხედავთ. თქვენი აზრით, რა მოხდა?**

— საგნის აღქმას სიშორე ხელს არ უშლის. პირიქით, უკეთ რომ აღიქვა საგანი, უნდა დაშორდე მას, დროში ან მანძილზე. შორიდან „დემოკრატიის ცათამბჯენის" გამოჩენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პრეზიდენტის შუშის გუმბათიანი „ცათამბჯენის" კონტურები კი მოჩანს. ევროპელი და ამერიკელი „მეგობრები" ძალიან კარგად ხედავენ, როგორ დემოკრატიასაც აშენებს მათ მიერ ჩვენს ხელისუფლად დასმული სააკაშვილი. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ისინი, მიუხედავად ამისა, მაინც მხარს რომ უჭერენ მას ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

**— თქვენს ყველა წერილში მუდამ ხაზგასმით აქცევთ ყურადღებას ისეთ ზნეობრივ კატეგორიას, როგორიც სამართლიანობაა, რაც ბუნებრივი და გასაგებია. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში წერდა ნეტარი ავგუსტინე, რომელიც აგრერიგად შორს იდგა აწინდელი პარტიული ანგაჟირებისგან: „რას წარმოადგენს სახელმწიფო, სადაც სამართლიანობა არ არის? რას და, ყაჩაღთა ხროვას". ყაჩაღების ბოლო კი, მოგეხსენებათ, რაც არის. მნიშვნელობა არა აქვს, უძლიერესი თუ სუსტი ყაჩაღი ხარ. უსამართლობაზე თუა დაფუძნებული, სავალალოა ყოველგვარი ეკონომიკური, სამხედრო და სახელისუფლებო პოტენციალი. რას იტყოდით, ამ თვალსაზრისით, ამჟამინდელ ქართულ სამართლიანობაზე?**

—სახელმწიფოს არსი რომ სამართლიანობის დამკვიდრებაში მდგომარეობს, ეს მართლაც კარგად შეუნიშნავს მე-4 საუკუნეში ნეტარ ავგუსტინეს. სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტია. მოსამართლე მაღლა დგას პრეზიდენტზე. პრეზიდენტი მოსამართლის წინაშე დებს ფიცს და არა მოსამართლე პრეზიდენტის წინაშე. და დღევანდელი საქართველო რომ სახელმწიფო არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ქვეყანაში არ არსებობს მოსამართლე. ყველა უსამართლობას, რაც დღეს საქართველოში ხდება — არჩევნების გაყალბება, გაზეთების რედაქციებისათვის მათი კუთვნილი შენობის წართმევა, ხალხისათვის საცხოვრებელი ბინების დანგრევა, ბიუჯეტის განუკითხავი ფლანგვა და ა.შ. — ეს სწორედ მოსამართლის არარსებობის შედეგია. ის, რაც მოხდა ოქრუაშვილის მიერ პრეზიდენტის მხილების შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის ნაცვლად ბრალმდებელი დაიჭირეს, — ეს უკვე უპრეცედენტო კურიოზია. საქართველოში, დაახლოებით თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო კი არ შედგა, როგორც უყვარს თქმა სააკაშვილს, არამედ იგი (სააკაშვილი) შედგა სახელმწიფოზე.

**— რახან სამართლიანობაზე ჩამოვარდა სიტყვა, როგორ აღიქვით შორს წასულმა ქართველებმა „ვარდების რევოლუციის" შემდგომი პერიოდი? ვთქვათ, ჟვანიასა და პატარკაციშვილის ბევრი რამით საეჭვო სიკვდილი, ოქრუაშვილის განდგომა. ანდა გინდა ნოემბრიდან მოკიდებული დღემდე გასული დრო (2 ნოემბერი, 7 ნოემბერი, 5 იანვარი, 13 იანვარი, 21 მაისი, 26მაისი). რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ყოველივე ამ — „რეფორმირებული უსამართლობიდან"? ეს ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი დუღილი" ძალაუფლებამოწყურებული ოპოზიციის „სიზმარია" თუ მართლაც გარკვეული უსამართლობა ქმნის ამის საფუძველს. თუკი ასეა, თვითონ ხელისუფლება რა, ვერ ხედავს თავის სამართალ-უსამართლობას?**

— ადამიანი გაცილებით უფრო მძიმედ განიცდის უსამართლობას, ვიდრე შიმშილს. კაცობრიობის ისტორიაც იმის ნათელი დადასტურებაა, რომ სახალხო აჯანყებებსა და რევოლუციებს უსამართლობა უდევს საფუძვლად და არა ეკონომიკური გაჭირვება. გამონაკლისი ამ მხრივ არც 2007 წლის 2-7 ნოემბრის გამოსვლა იყო. სამართლიანობისათვის ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობას ისახავს მიზნად. სამართლიანობისათვის მებრძოლები იდეის ადამიანები არიან. ისინი კი, ვინც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობას, პირადი კეთილდღეობაზე მზრუნველი, მუცლის ადამიანები არიან. ამიტომ აჯანყებული ხალხის მოქმედებაში კი არ უნდა ვეძებოთ ეკონომიკური საფუძველი (გაჭირვება, შიმშილი), არამედ მის დამარბეველ ხელისუფლებაში, რამდენადაც სამართლიანობა ხელისუფალთა პირად კეთილდღეობას ემუქრებოდა. ხელისუფლებაში ნორმალურად იდეის ადამიანები უნდა იყვნენ და სამწუხაროა, რომ დღეს იქ ყოფითი, მუცლის არსებები სხედან.

***რა სამართლიანია და რა არა, ამას ადამიანები განსაზღვრავენ და არა ფარისევლები. სამართლიანობის აღსადგენად კი ყველა საშუალება გამართლებულია. მშვიდობიან საშუალებას აირჩევ თუ ძალადობრივს, ეს იმ ფარისეველთა და უსამართლოთა სიჯიუტის ხარისხზეა დამოკიდებული, ძალადობრივ გზას ხალხი მაშინ მიმართავს, როდესაც ხელისუფლება მშვიდობიანი გზის საშუალებას არ უტოვებს ხალხს***

**— შინ დაბრუნებულს, გარკვეული დროის შემდეგ, როგორ გეჩვენებათ სამშობლო, კერძოდ, თბილისი. ევროპასთან შედარებით ბევრად მეტი გამოწვდილი ხელი დაგხვდათ?**

— რაც მართალია, მართალია, მთავარ პროსპექტზე აღარ გხვდება იმდენი გაწვდილი ხელი, რამდენიც შარშან. მაგრამ არა იმიტომ, რომ მოვლენა გაქრა, არამედ უბრალოდ გაყარეს ისინი იქიდან. სხვა ქუჩებსა და მოედნებზე კი იგივე სურათია.

**— თქვენ ერთ-ერთ თქვენს წერილში წერდით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანი თუ დიდხანს ხედავს და ისმენს სიყალბესა და სიცრუეს, თავდაპირველად ღიზიანდება, მერე კი მხეცდებაო. როგორია, თქვენი აზრით, ამ ორ რეაქციას შორის ხანგრძლივობის ინტერვალი? ერთი სიტყვით, ისევ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს რომ მივუბრუნდეთ, რამდენიც არ უნდა ვეძახოთ ყაჩაღებს, ეს უსამართლობააო, ისინი ისევ თავისას გაიმეორებენ, სამაგიეროდ ყველაფერი კანონიერად ხდებაო? რახან ასეა და სამართლიანობა ყველას (მდიდარსა და ღარიბს) თავისებურად ესმის, ბოლოსა და ბოლოს მართლა უნდა გავმხეცდეთ თუ მაინც სხვა, უფრო მშვიდობიანი გზა უნდა ვეძებოთ?**

— რა სამართლიანია და რა არა, ამას ადამიანები განსაზღვრავენ და არა ფარისევლები. სამართლიანობის აღსადგენად კი ყველა საშუალება გამართლებულია. მშვიდობიან საშუალებას აირჩევ თუ ძალადობრივს, ეს იმ ფარისეველთა და უსამართლოთა სიჯიუტის ხარისხზეა დამოკიდებული, ძალადობრივ გზას ხალხი მაშინ მიმართავს, როდესაც ხელისუფლება მშვიდობიანი გზის საშუალებას არ უტოვებს ხალხს.

**— ბოდიშს გიხდით, რომ ჩვენს ძველ რედაქციაში ვერ მიგიღეთ და ასე ვიწროდ, ამ პატარა და უსახურ ბინაში დაგხვდით. 10 აგვისტოს ერთი წელიწადი ხდება, რაც ხელისუფლებამ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან გამოგვყარა და დღემდე ოფიციალური წარმომადგენელი არავინ შეგვხვედრია, ვინც აზრიანად აგვიხსნიდა ამ მართლაც გაუგონარი უსამართლობის მიზეზს. ყოველ წუთს ამერიკასა და ევროპას კი გავიძახით, მაგრამ ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია ევროპაში? იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ სახელმწიფოსა და მასმედიის ევროპულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, თქვენ პირადად როგორ გესმით სიტყვის თავისუფლება? თუკი სიტყვას არავითარი ანგარიში არ ეწევა ხელისუფლების მხრიდან, ნუთუ ის მაინც თავისუფალ სიტყვად ითვლება? ისე, საერთოდ, როგორ შეხვდით ევროპაში „იმედის" დარბევას, უფრო ადრე რამდენიმე სატელევიზიო არხის დახურვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ? თუ ევროპელებს სულაც არ ანაღვლებთ ეს ამბავი?**

— ის, რაც ხელისუფლებამ გაზეთების რედაქციების მიმართ ჩაიდინა, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან რომ გამოყარა ისინი, ეს გაუგონარი თავხედობა და მასმედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლების, უფლების უზურპაციაა. მეოთხე ხელისუფლება, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად, დემოკრატიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ როდესაც ქვეყანაში გაუქმებულია სასამართლო ხელისუფლება, მედიის არსებობაც აზრს ჰკარგავს, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც საზოგადოებრივი გამომძიებელი, სასამართლოს ეხმარება. თავისუფალი სიტყვის არსი ის არის, რომ მას რეაგირება უნდა მოჰყვეს სასამართლოს მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც თავისუფალი სიტყვა არსებობს და არც სასამართლო. თუმცა რომელ თავისუფალ სიტყვასა თუ მედიაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ანგარიში არ ეწევა ყოფილ შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრის მიერ პრეზიდენტის მხილებას?! ამერიკისა და ევროპისა კი არა, ეს აფრიკის სტანდარტებსაც სცდება. ევროპაში რედაქციის შენობები ისეთივე ხელშეუხებელი და ავტონომიური დაწესებულებებია, როგორც უნივერსიტეტები და აკადემიები. ბრიუსელში, მაგალითად, ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს გაზეთ „ლე სუარის" მრავალსართულიანი შენობა, ანტვერპენში — „გაზეტ ვან ანტვერპენის" შენობა და ა.შ. რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა თავში მათი ხელყოფა?! ამის ჩადენის მსურველნი უმალ თავიანთ თავებს გაწირავენ საგიჟეთებისათვის. ის ფაქტი, რომ ჩვენი ევროპელი „მეგობრები" ამაზე თვალს ხუჭავენ, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ისინი არც ჩვენს ხელისუფალთ განიხილავენ ნორმალურებად და არც ჩვენს „სახელმწიფოს" ნორმალურად.

**— თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, მოკლედ გკითხავთ. მომავალი სტუმრობისას, როგორი საქართველოს ხილვას ისურვებდით? ხოლო ახლა რას ურჩევდით „სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაწამოწყებულ" ხელისუფლებას და ამავე სიღარიბისგან გულშეღონებულ ხალხის დიდ უმრავლესობას? როგორ ფიქრობთ, ნუთუ სამართლიანობა ცხოვრებაში განუხორციელებელი ქიმერაა?**

— სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა ხელისუფლების საქმე არ არის. ხალხი თვითონ მიხედავს ამ საქმეს. საბჭოთა სისტემა იმისათვის კი არ დაანგრიეს, რომ ყველას თავისი საქმე არ ეკეთებინა, ხელისუფლების საქმე კი ის არის, რომ მან სამართალს მიხედოს და თავი დაანებოს ხალხს. თავისუფალი ხალხი კი თვითონ უკეთ შეებრძოლება საკუთარ სიღარიბეს. სხვა საკითხია უმწეოთა და შრომისუნარმოკლებულთა სოციალური დაცვა, რაც აგრეთვე სამართლის სფეროს განეკუთვნება. ხოლო სამართლიანობა რომ განუხორციელებელი ქიმერა არ არის, ამას დასავლეთის რეალობაც ადასტურებს, რასაც ხალხის ერთობლივი ძალისხმევა და რევოლუციები დასჭირდა.

**— და კიდევ ერთი. საერთოდ იქ, ბელგიაში, აპირებთ ოჯახთან ერთად ცხოვრებას, თუ მართლაც ერთ მშვენიერ დღეს სულ დაბრუნდებით სამშობლოში?**

— ქართველებს ისტორიულად უჭირთ „სალი კლდეების გაცვლა უკვდავებისა ხეზედა". ამიტომ ყოველთვის მცირე დიასპორა ჰყავდათ უცხოეთში. ის ფაქტი, რომ დღეს ყოველი მეორე ქართველი ემიგრაციაზე ფიქრობს, იმაზე მეტყველებს, რომ მათ ჯოჯოხეთად ჰქცევიათ საკუთარი სამშობლო. მიუხედავად ამისა, ყოველი ემიგრანტი ქართველი სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს, რაგინდ კარგ პირობებში არ ცხოვრობდეს უცხოეთში.

იხ. 8 გვ.

### გაზიარებული ჭირი ნახევარჭირიაო...

# „დასავლეთისა და რუსეთის აქლემებს შუა საქართველო უსუსური კოზაკივით იჭყლიტება"...

(მეშვიდე გვერდიდან)

მაგრამ ამის წინაპირობა სამშობლოში მზამზარეული სამოთხის არსებობა კი არ არის, არამედ აქტივობის საშუალება, რომელიც სამოთხედ აქცევს ჯოჯოხეთს. ეს საშუალება კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის საქართველოში. ისე კი, როგორც ომარ ხაიამი ამბობს, „...შენ შექმენი შენი სამოთხე, სხვის სამოთხეში გინდ ყოფილხარ, გინდ ნუ იქნები..."

* * *

**ეჰ, მართლაც, როდემდე უნდა იყოს „მშობლიური ჯოჯოხეთიდან" გაქცეული ქართველობა „სხვის სამოთხეს" თავშეფარებული?! ან იქნებ საიქიო სულაც არ არის საჭირო სამოთხეში ანდა ჯოჯოხეთში მოსახვედრად და სააქაოშივე გადაგვიწყვიტა მაღალმა ღმერთმა, ვინ სად უნდა ვიცხოვროთ, სად უნდა გავლიოთ ჩვენი დღენი! არადა, უკეთუ ცოცხალთ ვერ შევძელით ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა და საკუთარი სამოთხის შექმნა, რაღა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას?! ალბათ, ამას ფიქრობდა ის ჩვენი სულმნათი წინაპარიც, რომელმაც დაგვიბარა, მკვდართ ნუ დაემსგავსებითო. მით უმეტეს, როცა თვითონ საქართველო გაჩენილა სამოთხედ დედამიწაზე, ჩვენ კი ჩვენივე უთავობითა და უნიათობით ჯოჯოხეთად ვაქციეთ და როგორც ცოდვილნი, ისე მივათრევთ ჩვენი ცხოვრების ჭაპანს! ნუთუ ცოცხლად ჯოჯოხეთში ყოფნამაც შეჩვევა იცის?!. ნუთუ... ნუთუ... ნუთუ... უზომოდ ბევრი ნუთუ მიტრიალებდა გახურებულ თავში.**

**დაახლოებით ასეთი მწარე ფიქრები ამიშალა „სხვის სამოთხიდან" დროებით შინ მობრუნებულ ჩემს კეთილ და გონიერ თვისტომთან შეხვედრამ.**

**კიდევ დიდხანს ვიბაასეთ ასე, კითხვა-მიგებით, მაგრამ რამდენ ხანსაც არ უნდა გვებაასა, ყველაფერს, აბა, ან რა ენა იტყვის, ან რა ყური მოისმენს?!.**

**თუმცა გამგებისათვის ესეც გასაგებია, რისი თქმაც მოვასწარით.**

გურამ გოგიაშვილი
6.08.08.

***P. S. გუშინ, ბელგიაში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, კვლავ დაველაპარაკე ბატონ ომარ ხახაშვილს და ვკითხე, რას ფიქრობთ ცხინვალის მხარეში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე-მეთქი, რის პასუხადაც მან ჩვეული პირუთვნელობით მომიგო:***

*— რუსეთის ველურობა ახალი ამბავი არ არის. კარგი რამ სჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკითხავია. ველურობაა გორსა და სენაკში საცხოვრებელი კორპუსების დაბომბვაც და სხვა. მაგრამ საკითხავი სხვა რამ არის: 9 აპრილის შემდეგ, კვლავ ჩვენს ფუნქციად რჩება, პირველებმა ვუჩვენოთ მსოფლიოს რუსეთის ველურობა? კვლავ ექსპერიმენტულ რესპუბლიკად ვრჩებით?*

*ჩვენი ხელისუფლების მოქმედება ცნობილი ანეკდოტის პერსონაჟის ამბავს მაგონებს: სეროჟამ ქუჩაში განავალი დაინახა და გვერდით ჩაუარა. მერე გაიფიქრა, იქნებ სხვა რაღაც იყო და კარგად ვერ გავარჩიეო. მოტრიალდა, დახედა, განავალიაო, და გზა განაგრძო. ორიოდე ნაბიჯის შემდეგ, გულმა არ მოუთმინა, უნდა დავრწმუნდეო, დაბრუნდა, თითი ჩაყო და უსუნა. ვაჰ, არ გითხარი, განავალია-მეთქი!..*

*რუსეთი დათვია, რატომ ვუჩრით მას თავს ხახაში? რატომ ვივიწყებთ შოთას შეგონებას: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი". პუტინს რაც გინდათ, ის დავარქვათ, მაგრამ იგი, როგორც მახსოვს, თვითონ გვიწვევდა სალაპარაკოდ. მიხეილ სააკაშვილმა და მისმა „დიპლომატებმა" კი ჯერ უნდა ისწავლონ ლაპარაკი. ბოლოს და ბოლოს, თუ კაპიტალისტობა გადაგვიწყვეტია, ბაზარი ხომ გვჭირდება. რუსეთზე უკეთეს ბაზარს კი საქართველო ვერ ინატრებს. ჩვენ კი, ჩვენი სეროჟა პოლიტიკოსების წყალობით, არა მარტო ვანგრევინებთ რუსებს ჩვენს ისედაც დანგრეულ ქვეყანას, არამედ დიდი ხნით ვკარგავთ მათ ბაზარსაც.*

*თუმცა ქართველებს ოდითგან ბაზარი არ გვიყვარს, „ნატო" გვიყვარს. მაგრამ რამდენ „ნატაშას" გვაკარგვინებს ამ „ნატოს" სიყვარული? (ეს ხუმრობით, ცხადია).*

*ამბობენ, ნატო დაგვიცავს რუსეთისაგანო. მაგრამ სანამ ის მოვა, მანამდე ხომ უნდა გადავურჩეთ რუსეთს? სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო. რუსეთი კარგია თუ ავი, დიდი ძალაა, და მას რომ დაუპირისპირდე, ან საკუთარი ძალა უნდა გქონდეს, ან დასავლეთის ძალის იმედი. მაგრამ როცა არც ერთია და არც მეორე, კეთილგონიერება მაინც გმართებს. ამ თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რეგიონში მოქმედი პოლიტიკური ძალები. ჯერჯერობით, რეგიონის მთავარი პოლიტიკური მოთამაშე ძალა რუსეთია. როგორც ჩვენს საუბარში ადრეც ვთქვი, ჩემი ფიქრით, მიზანშეწონილია, რომ საქართველომ დროებით მაინც, სანამ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები გაირკვევა, უარი თქვას ნატოში შესვლაზე და თვითონ არ გახდეს ამ გარკვევის ობიექტი. საქართველოს ხელისუფლებამ და პირადად მიხეილ სააკაშვილმა უნდა გააცნობიეროს, რომ პატარა ქვეყანას წარმოადგენს, და, კეთილგონიერება თუ არ ჰყოფნის, ელემენტარული პოლიტიკური ზრდილობა და ტაქტი მაინც გამოიჩინოს...*

***ვნახოთ, მოვლენები ხვალ და ზეგ როგორ განვითარდება, თავის დაკვირვებულ და მიუდგომელ სათქმელს ბატონი ომარ ხახაშვილი, ალბათ, უკვე ბელგიიდან ისევ ინტერნეტით მოგვაწვდის.***

*გ.გ.*
*12.08.08.*

### პროტესტი



# აგრესორი ქარიშხალს მოითხოვს

**ჩვენ, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის" წევრები, ვართ თბილისის და ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოების სამართალმემკვიდრენი, დიდგვაროვანთა შთამომავალნი.**

რუსეთის იმპერია უმოწყალოდ სპობდა ქართული ტრადიციის, რწმენის, კულტურის, ეროვნული სულისკვეთების გამოვლინებას. თავადაზნაურობის უმთავრესი მისია კი სწორედ სამშობლოს, რწმენის, ღირსების, ზნეობის დაცვა იყო.

1801 წლიდან, როდესაც რუსეთის იმპერიამ მოხდინა საქართველოს პირველი ანექსია-ოკუპაცია, თავადაზნაურობა, სამღვდელოება, მთელი ქვეყანა დარაზმული იყო სამშობლოს დასაცავად. საყოველთაო აჯანყებებს, შეთქმულებებს 1804, 1809-1810, 1819-1820, 1832, 1918-1921, 1923, 1924, 1937, 1956, 1989, 1991-92 წლებში მრავალი ათასი პატრიოტი შეეწირა. საქართველოს თავისუფლების სამსხვერპლოზე, ზვარაკად შეეწირა მრავალი გულანთებული ქართველი.

1923 წ. ბოლშევიკებმა დახვრიტეს საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, დაანგრიეს ქართველთა სალოცავები და ეკლესიები, წითელმა ტერორმა მოსპო ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ღირსეული ოჯახები, შეცვალა ფასეულობათა რკალი, ამკვიდრებდა „ბოროტების იმპერიის" უღმერთობას, უზნეობას, შუღლს, მიითვისა ქართველთა ძირძველი მიწები. ასე არსებობდა საქართველო 1921 წლიდან ბოლშევიკური რუსეთის მეორე ანექსიამდე — 1990 წლამდე, ვიდრე არ ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები და საქართველომ მტკიცედ არ გაკეთა განაცხადი თავისუფლებაზე. ამ არჩევანის გამო რუსეთის იმპერიამ კვლავ დასაჯა ურჩი ქვეყანა და 1991-1992 წ.წ. მოახდინა მესამე ანექსია-ოკუპაცია, საქართველოს ბედი კი კრემლის ემისარს ე. შევარდნაძეს ჩააბარა.

რუსეთის ნეოიმპერიამ ამ აგვისტოს დღეებში დაიწყო პირდაპირი, შეუნიღბავი აგრესია და უმოწყალოდ გაუსწორდა საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას, საქართველოს დედაქალაქს, დიდ და პატარა ქალაქებს, სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს, მთასა და ბარს, აფხაზეთს, სამეგრელოს, ქართლს ბომბავენ, ანადგურებენ, სპობენ... მართლმადიდებელმა რუსეთმა დაგმო არა მარტო მართლმადიდებლობის პოსტულატები, ყველა საერთაშორისო დეკლარაცია და დებულება, დაარღვია სუვერენული ქვეყნის საზღვრები, ცინიკურად აცხადებს აგრესიას პატარა საქართველოს მიმართ კანონზომიერ მოქმედებად, „საკუთარი მოქალაქეების დასაცავად".



ჩვენ ვითხოვთ საერთაშორისო ინსტიტუტებისგან რუსეთის აგრესიის დაგმობას და რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საქართველო ისტორიულად კავკასიის ღერძს, კავკასიის გულს წარმოადგენდა. ქართველები ისევე, როგორც ყველა კავკასიელი, მონობას არ შეურიგდება, არ შეეგუება საკუთარი მიწის მითვისებას, კავკასიელთა განოცილდს, რწმენის და სახელმწიფოებრიობის შერყევას. ჩვენ მივმართავთ რუსეთის მოაზროვნე ნაწილს და შევთხოვთ შეაგონონ საკუთარ მთავრობას — აგრესია უნდა შეჩერდეს! თუ ვერ გაიგო რუსეთმა ეს ანბანური ჭეშმარიტება, მოიმკის ქარიშხალს.

**საქართველოს ისტორიული საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს სახელით:**

**ია ბაგრატიონ-მუხრანელი, კოტე ჩოლოყაშვილი, ელენე აბაშიძე, შოთა ჩხეიძე, თინათინ მაჭავარიანი, ნუგზარ მაჭავარიანი, დავით წერეთელი, თენგიზ თავდგირიძე, ქეთევან ავალიშვილი, სანდრო ბაგრატიონი, მიხეილ ბაგრატიონი, ნარგიზა ბაგრატიონ-დავითაშვილი, მედეა და ელეონორა აბაშიძეები, ზურაბ რატიანი, თენგიზ შერვაშიძე, ზაზა ჩიქოვანი, ზვიად ჯაფარიძე, თინათინ მღვდლიაშვილი, ნიკა ამირეჯიბი, მერაბ ბაქრაძე და მრავალი სხვა.**

რას წერენ ჩვენზე

# კონფლიქტი საქართველოში: სრულ სიმართლეს არავინ ლაპარაკობს

**ბრიტანული გაზეთები კვლავ ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს საქართველოში მიმდინარე კონფლიქტს. „რაშიც შეიძლება იყო აბსოლუტურად დარწმუნებული, ეს არის ის, რომ არც ერთი მხარე არ ლაპარაკობს სრულ სიმართლეს“, – მიაჩნია გარდიანს.**

## სააკაშვილის შეცდომები

**სააკაშვილი შეცდა. შეიძლება თავად ვარაუდობდა სწრაფ ოპერაციას სამხრეთ ოსეთში ან, შეიძლება, უბრალოდ აღმოჩნდა რუსეთის მიერ დაგებულ ხაფანგში. შედეგი სასაცილო იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო სატირალი. სააკაშვილმა კი დაკარგა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, ალბათ, სამუდამოდ და შეასუსტა თავისი პოზიციები (გარდიანი).**

თავის გაანგარიშებებში სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით სააკაშვილმა დაუშვა ერთი ფუნდამენტური, საშინელი შეცდომა: იგი ფიქრობდა, რომ ბუშის ადმინისტრაციისა და დასავლეთისათვის საქართველოსთან ურთიერთობა იქნებოდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რუსეთთან ურთიერთობა (ტაიმსი).

ცხინვალზე შეტევით იგი ყველაფერს აკეთებდა, რათა რუსეთი არ ჩარეულიყო. და ახლა საქართველო იხდის საკმაოდ ძვირად ამისათვის. ამ დროს რუსეთის შეტევები აჩვენებენ, თუ რამდენად ესაჭიროება საქართველოს ევროკავშირისა და ნატოს დაცვა. თუმცა, ცხადია, რომ არც ერთის და არც მეორის მხრიდან ამაზე საუბარიც კი არ იქნება, ვიდრე იგი საბრძოლო მოქმედებაშია ჩაბმული (ტაიმსი).

უკანასკნელ დღეებში სააკაშვილი გამოიყურებოდა, როგორც კაცი, რომელმაც მოკბიჩა უფრო მეტი, რისი დაღეჭვაც მას შეეძლო... და მართალია ვაშინგტონი და ბრიუსელი ბედნიერები იყვნენ ლიდერის გამოჩენით, რომელიც დასავლეთისაკენ იყურებოდა და ლაპარაკობდა მათ ენაზე, მაგრამ ეჭვი იმაში, რომ იგი არის კაცი, ვისგანაც ყველაფერს შეიძლება ელოდო, ყოველთვის რჩებოდა (დი ინდეპენდენტი).

## საერთაშორისო რეაქცია

**სანამ ჯორჯ ბუში უყურებს ბეისბოლს პეკინში, პუტინი ისტორიას ქმნიდა. ევროპელმა ლიდერებმა მიატოვეს პლაჟები და თავიანთი ვილები, რათა მოხვედრილიყვნენ ბრიუსელში „საგანგებო სხდომაზე“, ჯონ მაკკეინმა და ბარაკ ობამამ გამოიყენეს სიტუაცია, რათა ერთი-მეორე ტალახში ამოესვარათ (გარდიანი).**

დასავლეთის რეაქცია განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს რუსეთი. მოსკოვისათვის დუმილი თანხმობის ნიშანია მის პოზიციასთან, ხოლო ფრთხილი დადანაშაულება მისი მისამართით – სისუსტის მაჩვენებელია... სიტუაცია მცირედით თუ განსხვავდება ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა შეჭრისაგან 40 წლის წინათ ან ამ ქვეყანაზე ნაცისტების თავდასხმისაგან 70 წლის წინათ. უნდა მოვახდინოთ რეაგირება ისე, რომ მდიდარმა რუსებმა, რომლებითაც გადავსებულია ევროპა, სრულად შეიგნონ ის, თუ როგორი განყენებულობით ეპყრობიან მათ ქვეყანას (დეილი ტელეგრაფი).

## ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობათა შესახებ

**თუ ამერიკის შეერთებული შტატები აირჩევენ მაკკეინს, მაშინ სავარაუდოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაიკავებს უფრო აგრესიულ პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობაში. მაკკეინი თავადაც ყოველთვის აკრიტიკებდა ბატონ პუტინს და იმასაც კი მოითხოვდა, რომ რუსეთი გაერიცხათ დიდი რვიანიდან.** ამის დამატებით მისი ერთ-ერთი მრჩეველია კრემლის ერთ-ერთი ყველაზე მწვავედ მაკრიტიკებელი პიროვნება. ბარაკ ობამას შენიშვნები კი, პირიქით, უფრო ფრთხილი იყო. თავის გამოსვლაში იგი დაბალანსებით მოუწოდებდა ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტას. და თუმცა მისი გამონათქვამები რუსეთთან დამოკიდებულებაში მოგვიანებით უფრო კრიტიკული გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მისი დეტალიზირებული განცხადებანი უფრო თავშეკავებული იყო (ტაიმსი).

მიმოხილვა მოამზადა
**ევგენია მინაევამ**

BBC RUSSIAN.com

## დსთ მოგვიწოდებს მშვიდობასა და მოლაპარაკებებს

**დსთ-ს ქვეყნები მოითხოვენ შეწყდეს სამხედრო მოქმედებები რუსეთსა და საქართველოს შორის და მზად არიან შეასრულონ შუამავლის როლი კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში.**

8 აგვისტოს ცხინვალის ღამის შეტევის შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დსთ-ს ქვეყნებმა უნდა მიაღწიონ საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტას თბილისის მხრიდან.

„ძალიან გვინდოდა, რომ დსთ-ს ფარგლებში ამ მოქმედებებმა მიიღონ შესაბამისი შეფასება და ყველამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა შეწყდეს საომარი მოქმედებები“, – აღნიშნა პუტინმა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან შეხვედრის დროს.

იმ დროს, როდესაც რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, ბოლომდე იქნეს მიყვანილი ოპერაცია, რათა „საქართველო იძულებული გახდეს შეწყვიტოს საომარი მოქმედებანი“, – დსთ-ს ქვეყნებს პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნიათ კონფლიქტის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტა.

**ილია აზიზევი**

BBC RUSSIAN.com

# კრიზისის პირველი გაკვეთილები

*მართალია, ომი სამხრეთ ოსეთისთვის ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ საქართველოს მეორე რეგიონში, აფხაზეთში, ბრძოლები გაჩაღდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოვიტანოთ პირველი გაკვეთილები კრიზისიდან.*

## გაკვეთილი 1.
### ნუ ურტყამ დათვს ცხვირში, თუ ის დაბმული არ არის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, როგორც ეტყობა, იმედოვნებდა, რომ რუსეთი არ მოახდენდა მკაცრ რეაგირებას მის გადაწყვეტილებაზე ოლიმპიური თამაშების წინადღით გაეგზავნა ჯარები სამხრეთ ოსეთში იმ მიზნით, რომ დაემყარებინა კონტროლი ამ რეგიონზე, რომელიც, მისი აზრით, უნდა დარჩეს საქართველოს ნაწილად, თუნდაც ავტონომიის სახით.

რუსეთი კი ყოველთვის მზად იყო პასუხის გასაცემად. ჯარები მას უკვე ჰყავდა რეგიონში: მშვიდობისმყოფელთა სახით, 1992 წლის შეთანხმების თანახმად, რომელსაც ასევე ხელი მოაწერეს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ბორის ელცინმა და ედუარდ შევარდნაძემ.

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმეტესობამ მიიღო რუსეთის პასპორტები, რამაც საშუალება მისცა რუსეთს ემტკიცებინა, რომ იგი სეპარატისტულ რეგიონში იცავს თავის მოქალაქეებს.

იმ გადაწყვეტილების შედეგად, რასაც ბევრი მიიჩნევს პრეზიდენტ სააკაშვილის შეცდომად, საქართველომ შეიძლება დაკარგოს უკანასკნელი იმედები სამხრეთ ოსეთის დაბრუნებისა.

## გაკვეთილი 2.
### რუსეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი (და ეს ძალიან რბილად ნათქვამია)

რუსეთი, როგორც ეს ადრეც ხშირად მომხდარა, მიიჩნევს, რომ მას გარს არტყიან მტრები.

მოსკოვში ბი-ბი-სის ყოფილ კორესპონდენტთან ტიმ ჰიულთან საკმაოდ გულღია ინტერვიუში მიმდინარე წლის დასაწყისში ვლადიმერ პუტინის მრჩეველმა გლებ პავლოვსკიმ აღნიშნა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ მივიდა დასკვნამდე: „ეს არის ის, რაც ჩვენ გველოდება მოსკოვში, ისინი შეეცდებიან მოახდინონ ამ რევოლუციის ექსპორტირება ჩვენთანაც, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ ამისათვის და ძალიან სწრაფად განვამტკიცოთ ჩვენი პოლიტიკური სისტემა...“

ის, რაც გამოიყენებოდა დასავლეთთან უკრაინის დაახლოების მცდელობაში, ასევე მიესადაგება საქართველოსთან ურთიერთობასაც, რომელიც უკრაინის გზით წავიდა. მოსკოვს სურდა თავიდან აეცილებინა შესაძლო („ფერადი“ძ რევოლუცია რუსეთში, და შესაბამისად პოლიტიკურ პროცესებში რაც ხდებოდა საქართველოსა და უკრაინაში, დაენახა მტრული გავლენის შედეგები.

გაურკვეველია, რამდენად შორს წასვლისათვის არის მზად რუსეთი, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ლაპარაკობს სურვილზე აღადგინოს სამხრეთ ოსეთში წესრიგი, ეს კი, ალბათ, ნიშნავს რუსეთის მუდმივ ყოფნას ამ რეგიონში, რაც ამავე დროს გამორიცხავს საქართველოს ხელისუფლების რაიმე მონაწილეობას იქ. დიპლომატების აზრით, ალბათ, რუსეთი არ შეიჭრება საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის მიღმა.

## გაკვეთილი 3.
### გახსოვდეთ კოსოვოს შესახებ

რუსეთი მეტად უკმაყოფილო იყო იმ მხარდა-



ჭერით, რასაც დასავლეთი უწევდა კოსოვოს გამოყოფას სერბეთისაგან და აფრთხილებდა ასეთი ნაბიჯის შედეგების შესახებ. ის, რაც მოხდა სამხრეთ ოსეთში, შეიძლება იყოს ერთ-ერთი ასეთი შედეგი. რასაკვირველია, რუსეთი არ ამტკიცებს, რომ ამ კრიზისში იგი იქცევა, როგორც დასავლეთი კოსოვოში: მისი მთავარი არგუმენტი ხომ სახელმწიფოთა დაშლის შეუძლებლობის იდეაა ურთიერთშეთანხმების გარეშე. მაგრამ აქ ყველამ იცის, რომ რუსეთს სწორედ კოსოვოს მაგალითი აქვს მხედველობაში.

## გაკვეთილი 4.
### საქართველოს, ალბათ, არ მიიღებენ ნატოში უახლოეს მომავალში

აპრილში საქართველოს და უკრაინას უარი უთხრეს ნატოს წევრობაზე, თუმცა ორივე მხარემ მიიღო კეთილი ნება მოქმედებათა გეგმის დამუშავების შესახებ, რაც ოდესღაც შეიძლება დამთავრდეს მათი შესვლით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

ამერიკელებს უნდოდათ, რომ ორივე ქვეყანა ყოფილიყო მიღებული, მაგრამ გერმანია და სხვა წევრი ქვეყნები გამოვიდნენ წინააღმდეგ იმ არგუმენტით, რომ რეგიონი ძალიან არასტაბილურია, რათა ისინი მიღებული იქნენ ნატოში და განსაკუთრებით არ შეიძლება საქართველოს მიღება, რომლის ტერიტორიაზეც გრძელდება კონფლიქტები.

## გაკვეთილი 5.
### ვლადიმერ პუტინი კვლავ საჭესთანაა

სწორედ პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი და არა პრეზიდენტი გაემგზავრა პეკინში ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე, სწორედ იგი სასწრაფოდ ჩამოვიდა კონფლიქტის ზონაში, რათა პირადად უხელმძღვანელოს რუსეთის საპასუხო მოქმედებებს. მისი გამონათქვამები არ იტოვებდნენ ადგილს კომპრომისისათვის: რუსეთს, განაცხადა მან, აქვს უფლება ჩაერიოს კონფლიქტში.

## გაკვეთილი 6.
### ნუ მისცემთ გუგულს ბუდის დაცვის ნებას

1992 წელს ედუარდ შევარდნაძის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სამხრეთ ოსეთში რუსეთის ჯარების შესვლის ნებართვის შესახებ სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში საშუალება მისცა რუსეთის ახალ მთავრობას, რომელიც ძალიან განსხვავდება ელცინისეული ხელისუფლებისაგან, თანდათანობით გააფართოოს თავისი კონტროლი და გავლენა ტერიტორიაზე. რუსეთს არ უჭირდა გაემართლებინა თავისი შეჭრა: საკმარისი იყო განცხადება, რომ მისი მოქალაქეები არა მხოლოდ იყვნენ საშიშროებაში, არამედ მათ თავსაც კი დაესხნენ.

## გაკვეთილი 7.
### დასავლეთმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორ აწარმოოს საქმეები რუსეთთან

დასავლეთში არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცნენ შექმნილ სიტუაციაში, კვლავ გაჩნდა ძველი ცივი ომისდროინდელი არგუმენტები. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი კონსერვატორები ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ხელმძღვანელობით (მას მხარს უჭერს რესპუბლიკელებიდან პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ მაკკეინიძ მიიჩნევენ საქართველოს თავისუფლების მედროშედ, რომელსაც მხარი უნდა დაუჭირონ. მოვა დრო, ამბობენ ისინი, რომ რუსეთი იძულებული გახდება შეიცვალოს ისევე, როგორც ეს მოხდა საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით.

ამ აზრს ჰყავს მოწინააღმდეგეებიც, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ ოუენი, რომელმაც კვირას ბი-ბი-სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ რუსეთთან ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც საბჭოთა კავშირთან იყო, აბსურდულია, რომ საქართველომ შეცდომა დაუშვა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით და ახლა ამის საფასურს იხდის.

## გაკვეთილი 8.
### იქნება ევროპის საზღვრები ყოველთვის ხელშეუხებელი?

ეს იყო ერთ-ერთი ჩავარდნა ომისშემდგომ ევროპაში: საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს, თუ ურთიერთშეთანხმება არ იქნა, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, ჩეხოსლოვაკიაში. შეიძლება ამ წესს იყენებდნენ მეტად მკაცრად. მაგრამ მთავრობებს, მაგალითად, საქართველოში, არ სურთ რაიმე ტერიტორიის დათმობა, თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობა აშკარად მტრულად იყოს განწყობილი და ტერიტორია აღმოჩნდა იმ ქვეყნის შემადგენლობაში, რომელიც ლებულობს თვითნებურ გადაწყვეტილებას. საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წელს სამხრეთ ოსეთი შეიყვანა საქართველოს შემადგენლობაში. ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას მისცა. გახდება კი ეს, ერთხელაც იქნება, კონფლიქტის მიზეზი?

## გაკვეთილი 9.
### აგვისტო – კარგი თვეა, რათა გაიხედო ალიანსისკენ

1914 წლის აგვისტოში ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობამ სარაევოში გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის დაწყება. ეს მოხდა იმიტომ, რომ ევროპაში ჩამოყალიბდნენ ალიანსები, რომლებიც უცილობლივ წაეკიდნენ ერთი-მეორეს. რუსეთმა მხარი დაუჭირა სერბიას, გერმანიამ – ავსტრიას, საფრანგეთმა – რუსეთს, ბრიტანეთი ჩაერთო ომში, როდესაც ბელგია იქნა ოკუპირებული.

ალიანსებში შესვლა არ უნდა იყოს იოლი საქმე ან მოუფიქრებელი ნაბიჯი. დავუფიქრდეთ იმას, თუ რა მოხდებოდა, საქართველო რომ ყოფილიყო ნატოს წევრი?

**პოლ რეინოლდსი**

BBC RUSSIAN.com

ოლიმპიური თამაშები

# უიღბლო დღეების ქრონიკა

**ჩინეთის დედაქალაქში გრძელდება ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშები, რომელშიც ქართველი სპორტსმენები უღიმღამოდ ასპარეზობენ. ჩვენი დელეგაციის ყულაბაში ერთადერთი ბრინჯაოს მედალია, რომელიც ნინო სალუქვაძემ მოგვიტანა.**

ყველაზე მეტად, სრულიად საფუძვლიანად, ძიუდოისტების გვეიმედებოდა, მაგრამ ჩვენი ათლეტები ზედიზედ განიცდიან ფიასკოს. გუშინ ლაშა გავაშელიშვილმა (81 კგ.ძ იჭიდავა, ლიჩაზე გასვლის მოტივაცია აღარ აქვთ. არ ვიცი, საბრძოლველად განწყობას როგორ მოახერხებენო, — გვითხრა ნაკრების თავკაცმა. გუშინ მსოფლიო ჩემპიონმა დავით ბედინაძემ (60 კგძ პირველივე პაექრობა ორგზის ოლიმპიურ და სამგზის მსოფლიო ჩემპიონ არძენ ნაზარიანთან დათმო 1:2 (1:1, 1:4, 1:4ძ. მეორე წრეში ბულგარეთის სახელით მოასპარეზე სომეხი იაპონელთან დამარცხდა და ბედინაძისთვისაც ოლიმპიადა ისევე დასრულდა, როგორც ლაშა გო-



რომელმაც პირველივე შეხვედრა წააგო პორტუგალიელ ნეტოსთან.

შეჯიბრებაში ჩაებნენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები. პაექრობების დაწყებამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბევი დარჩიას ვესაუბრეთ. საქართველოში დატრიალებული მოვლენების გამო ყველანი დაზაფრულები ვართ, ბიჭებმა ოლიმპიადისადმი ინტერესი დაკარგეს, ამიტომ ხა-

გიტაძისთვის (55ძ. და ქუთაისელმა ფალავანმა პირველ წრეში ჩინელ მოჭიდავეს სძლია და რომის სალიცენზიო ტურნირზე მასთან ნახევარფინალში მარცხისთვის რევანში აიღო, მაგრამ მომდევნო წრეში თავადაც დაყარა ფარ-ხმალი სომეხ ამოიანთან. ეს უკანასკნელი კი მედლებისკენ მიმავალ ბილიკს აზერბაიჯანელმა ბაირამოვმა ჩამოაცილა, რის გამოც ქართველი ფალავანიც ხელმოცარული დარჩა.





# ისინი კვარცხლბეკზე ავიდნენ

**სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები. გუნდური პირველობა.** 1. ჩინეთი, 2. იაპონია, 3. აშშ.

**100 მ. გულაღმა ცურვა. ვაჟები.** 1. აარონ პირსოლი (მსოფლიო რეკორდით — 52, 54ძ, 2. მეტ გრევერსი (ორივე — აშშძ, 3. არკადი ვიატჩანინი (რუსეთიძ და ჰაიდენ სტოკელი (ავსტრალიაძ.

**100 მ. გულაღმა ცურვა. ქალები.** 1. ნატალი კოფლინი (აშშძ, 2. კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვეძ, 3. მარგარეტ ჰელცერი (აშშძ.

**100 მ. ბრასი. ქალები.** 1. ლეისელ ჯონსი (ავსტრალიაძ, 2. რებეკა სონი (აშშძ, 3. მისანა იუკიჩი (ავსტრიაძ.



**200 მ. თავისუფალი ყაიდა. ვაჟები.** 1. მაიკლ ფელპსი (აშშ, მსოფლიო რეკორდით — 1.42, 96ძ, 2. ტე-ჰვან (სამხრეთ კორეაძ, 3. პიტერ ვანდრკააი (აშშძ.

**წყალხტომა. 10 მ. კოშკურიდან სინქრონული ხტომა. ქალები.** 1. ჰინ ვანგი — როულინ ჩენი, 2. ბრიონი ქოლი — მელისა ვუ (ავსტრიაძ, 3. პაოლა ესპინოზა — ტატიანა ორტიზი (მექსიკა).

**ტყვიის სროლა. ვაჟები.** 1. ელერი (აშშძ, 3. ანიელო (იტალიაძ, 3. ჰუ (ჩინეთიძ.

**ძალოსნობა. ქალები.** 63 კგ. 1. ჰუონ სუკ პაკი (კორეაძ, 2. ირინა ნეკრასოვა (ყაზახეთიძ, 3. ჟინგჩი ლუ (ტაიპეიძ.

**ფეხბურთი. ვაჟები. B ჯგუფი.** გერმანია — რუსეთი 2:3, ეგვიპტე — პოლონეთი 3:0, ამერიკა — იტალია 3:1.

**კალათბურთი. ვაჟები. A ჯგუფი.** ლიტვა — ირანი 99:67, ხორვატეთი — რუსეთი 85:78; **B ჯგუფი.** საბერძნეთი — გერმანია 87:64.

**ხელბურთი. ვაჟები. A ჯგუფი.** ხორვატეთი — ბრაზილია 33:14, საფრანგეთი — ჩინეთი 33:19; **B ჯგუფი.** რუსეთი — ეგვიპტე 28-27.

**სოფთბოლი. ქალები.** კანადა — ტაიპეი 6:1, აშშ — ვენესუელა 11:0.

**ბალახის ჰოკეი. ქალები.** ავსტრალია — ესპანეთი 6:1. დიდი ბრიტანეთი — არგენტინა 2:2.







# თუკი პეკინში გაიმარჯვებენ

**მართალია, პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის, ანუ „ოქროს“ მოპოვებისთვის ჩვენს ოლიმპიელებს მილიონ ლარს დაპირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ვეტერანი სპორტსმენი ქალის ნინო სალუქვაძის მიერ მოპოვებული „ბრინჯაოს“ გარდა, ჩვენს „ოლიმპიურ ყულაბაში“ არაფერი ჩანს, თუმცა ათენზე უკეთეს შედეგებს გვპირდებოდნენ.**

მაინც რა ღირს პეკინში გამარჯვება?

ჩვენი მოძმე უკრაინა გამარჯვებულებს 100 ათას დოლარს ჰპირდება, აზერბაიჯანი — 750 ათას დოლარს, ხოლო თამაშების მასპინძელი ჩინეთი — 1 მილიონ დოლარს.

გამარჯვებებისადმი გულუხვია რუსეთიც „ოქრო“ — 100 ათასი ევრო, „ვერცხლისთვის“ — 60 ათასი, ხოლო „ბრინჯაოსთვის“ — 40 ათასი ევრო.

რუსი სპორტსმენებისთვის უფრო ხელგაშლილნი არიან ცალკეული რეგიონები და სპორტული ფედერაციები. მაგალითად, სამარის ოლქი პეკინში წარმატებულ თანამემამულეს 1,5 მილიონ რუბლს ჰპირდება, ჩუვაშეთი — 300 ათას რუბლს, პერმში გამარჯვებულებს ბინებს ან მის ექვივალენტ ფულს გადაუხდიან.

ცურვის ფედერაცია თავის ჩემპიონს 50 ათას დოლარს წაუმატებს. ცსკა — 1,5 მილიონ რუბლს. ჭიდაობის ფედერაცია კი 500 ათასი დოლარით გაამდიდრებს თავის ოქროს მედლოსნებს.

გამოძახილი

# სად და როდის?

**ხვალ ვაკის სტადიონზე უეფას თასის გათამაშების II ეტაპის სასტარტო მატჩი უნდა გაიმართოს „ვიტ ჯორჯიასა“ და ვენის „აუსტრიას“ შორის.**

ბუნებრივია, საქართველოში ამ დღეებში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა არც ავსტრიელები დატოვა გულგრილნი და მათ ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები მოსთხოვეს, სათადარიგო ვარიანტად კი შეხვედრის საკუთარ მინდორზე ან ნეიტრალურ ქვეყანაში გადატანა შესთავაზეს. როგორც შევიტყვეთ, უეფამ ყველაფერი უცვლელად დატოვა. ასე რომ, თუ უახლოეს საათებში რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, რაც რუსული ფაქტორის გათვალისწინებით გამორიცხული ნამდვილად არ გახლავთ, გვეფეხბურთება თუ არა, ხვალ საერთაშორისო ოფიციალურ თამაშს მაინც უნდა ვუმასპინძლოთ.



სამაგიეროდ, ბურუსით არის მოცული 6 სექტემბრისთვის დანიშნული „მუნდიალ-2010“-ის შესარჩევი ციკლის ბრძოლის — საქართველო — ირლანდია პერსპექტივა. არა, შეხვედრა არავის გაუუქმებია, მაგრამ მისი თბილისში გამართვა გახდა სათუო მას შემდეგ, რაც კუნძულელთა იტალიელმა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ კავკასიაში შექმნილი ვითარების გამო შესაბამისი თხოვნით მიმართა უეფას. მართალია, ზეპ ბლატერმა კონკრეტული პასუხისგან თავი შეიკავა, მაგრამ სავსებით ლოგიკური იქნება, თუ „ტრაპის“ თხოვნა დაკმაყოფილდება და ბრიტანელებთან სასტარტო მატჩი დუბლინში გაიმართება, მით უმეტეს, რომ ასეთ წინადადებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც თანახმა არის.

ხელოვანის წიფოზისთვე

# ერთადერთი სურვილი, რაც ალეკო ხომერიკმა, ჯერჯერობით, ვერ აისრულა

**აჰა, ალეკო ხომერიკის წიფოზისთვეც დამდგარა — დღეს ქართველი მსმენელის საყვარელი საოპერო მომღერალი, არაჩვეულებრივი ტენორი 60 წლისაა. ამ ბოლო დროს ავადმყოფობამ, რომ იტყვიან ნამეტანი გაუჩმახა, „ჯამბაზებში" კანიოს პარტიის შესრულებას ეპირება, ეპირება და, როგორც მითხრა, ახალ სეზონში აუცილებლად იმღერებს.**

ჯერჯერობით კი იგი იგონებს განვლილ გზას — მშობლიურ ბათუმს და ანსამბლ „ადილას" წევრობას, ბათუმის მუსიკალურ ტექნიკუმს და მურმან მახარაძის პედაგოგობას, მოგვიანებით იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და პედაგოგი გიორგი გოგიჩაძე... ზურაბ ანჯაფარიძის კონსულტანციები (გავბედავ და ვიტყვი, რომ ალეკოს ლამაზი, „ქართული" ტემბრი, რაღაცით ჰგავს დიდი მომღერლის ხმასძ. 1977 წლიდან იგი უკვე თბილისის საოპერო თეატრის სოლისტია.



და დაიწყო წარმატებათა სერია, აბა, სტაჟირება „ლა სკალაში", აბა, ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატობა... ლირიკულ-დრამატული ტენორი, დახვეწილი ვოკალური ოსტატობა, არტისტიზმი და პროფესიონალიზმი მომღერალს საშუალებას აძლევს შეასრულოს ყველა ტენორისათვის საოცნებო პარტიები ზაქარია ფალიაშვილის, ჩაიკოვსკის, ბიზეს, პუჩინის, ვერდის, ლალიძის საოპერო ნაწარმოებებში... ერთი, კანიო დამრჩა „ჯამბაზებში" და, იმასაც შევასრულებო, მეუბნება.

**— თქვენ შესანიშნავი პარტნიორები გყავდათ...**

— მართლაც ბედნიერი ვიყავი... ამქვეყნიდან ნაადრევად წასულები მაია თომაძე, ჯემალ მდივანი, მანანა ეგაძე... ელდარ გეწაძე, ლია კალმახელიძე, მარიცა მაღლაფერიძე დღესაც ჩემი უბადლო პარტნიორები და მეგობრები არიან, ღმერთმა კარგად მიმყოფოს მათი თავი...

**— მე მგონი, ბათუმის პერიოდი, მაინც გამორჩეული იყო...**

— რა თქმა უნდა... აჭარის მაშინდელი ხელისუფლების დახმარებით მე ფრთები შევასხი ბათუმელთა სანუკვარ ოცნებას — დავაარსე ამ ქალაქში საოპერო თეატრი, რომელიც, თანდათან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული დონისა გახდა... თავად მოგეხსენებათ, რა საოპერო სპექტაკლები იდგმება იქ, რა ინტელიგენცია ჩადიოდა ბათუმში პრემიერებზე თბილისიდან და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან... თანაც, მე მარტო რა უნდა გამეკეთებინა, თუ არა, ასე ვთქვათ, თანამოაზრეთა შესანიშნავი გუნდი — რეჟისორები გიზო ჟორდანია და გიგა ლორთქიფანიძე, მხატვრები უშანგი იმერლიშვილი, მირიან შველიძე, მამია მალაზონია, კოკა იგნატოვა (კოკა მთავარი მხატვარი იყო, „დაისის" ბრწყინვალე მაკეტი დარჩა, ველარ მოასწრო დამთავრებაძ, დირიჟორი დათო მუქერია და სხვები. „ლელა", „აიდა", „ოტელო" საფირმო სპექტაკლები გამოვიდა და თბილისის პუბლიკა, შეიძლება ითქვას, „გადარია", გასტროლების დროს...

...ალეკო ხომერიკმა, რაც მთავარია, აღზარდა მთელი წყება ახალგაზრდა, ნიჭიერი მომღერლებისა: ესენი არიან — თამარ ჯავახიშვილი, ხათუნა მიქაბერიძე, მარინე ზვიადაძე, ნანა ჯავახიძე... პირველი აბესალომი ბათუმში — ბადრი მაისურაძე, რომელიც დღეს წარმატებით გამოდის საზღვარგარეთის საოპერო თეატრებში...

ერთი კაცის ცხოვრებად ხომ ღირს ეს ღვაწლი, ძვირფასო მკითხველო? რა თქმა უნდა...

**— კმაყოფილი ხართ განვლილი გზით?**

— აბა, რა გითხრა, ძმაო (თვალებში ეშმაკური ღიმილი უკრთისძ... თითქმის ყველა სურვილი ავისრულე: ტენორის ყველა მთავარი პარტია ვიმღერე, ხალხის სიყვარული ჯერაც დამყვება, ის კი არა, ორგანიზატორული ნიჭიც აღმომაჩნდა და ჩემს ბათუმში საოპერო თეატრი გავხსენი, კაი ვსვი, კაი ვჭამე, არც კაი ქალები დამიკლია... და ცოტსაც თუ მაცლის მამაზეციერი, კიდევ მოვასწრებ ჩემი ხალხის სასიკეთო სამსახურს.

**— მაგრამ, ეს „თითქმის", რაღაა? ეტყობა, მაინც გაკლია გულს...**

— რუსის გადაშენებას ვერ მოვესწარი, ჯერჯერობით...

**— ეეეე... მგონი, ჩვენ გადაგვაშენოს...**

— ვერაფერსაც ვერ იზამს, თუ ერთად ვიქნებით...

**— ვიქნებით?..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

მცირე პროზა

# რუსი წავიდა

***ვლადიმირ (ВЛАДЕТМИР) პუტინი ოდნავადაც ვერ გამოხატავს პატიოსანი რუსი კაცის დადებით თვისებებს. საკუთარი დედის უარმყოფელი კაცი სამშობლოს რა სიკეთეს მოუტანდა! პუტინმა მიწაზე განართხო რუსეთის პრესტიჟი***

***ავტორი***

აეროპორტის მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში ჩემოდანზე ფეხმორთხმით ჩამომჯდარიყო ახალგაზრდა კაცი. გამოკვეთილად იგი არც რუსს ჰგავდა, არც ქართველს. ჟღალი ქოჩორი კი ამშვენებდა, მაგრამ პირსახეზე ოდნავი სიშავე დაჰკრავდა. ფიქრებში ღრმად იყო ჩაძირული. ირგვლივ ბარგი-ბარხანაც ეწყო და იქიდან თავი და მხრები ძლივს მოუჩანდა. ისე იყო ჩაფიქრებული, თავზე თავის კბილა ჭაბუკი რომ დაადგა, ვერც კი იცნო. მოსული გადაეხვია, მაგრამ ვერ გამოერკვია, ვერ იცნო.

მოსული ჭაბუკი გადაეხვია მკლავები მხრებზე შემოადო.

— რომელი ხარ, ბიჭო?

— შენი უბნელი ვარ, გია. ვერ მიცანი, ბიჭო იგორ!

— აა, შენა ხარ? საით მიემგზავრები?

— მე? არსად. მეზობლებმა გამომგზავნეს შენთან, რა ჭირს, გააფრინაო...

— რაო, რა უნდათ.

— ახლავე აქეთ წამოიყვანეო, ასე მითხრეს. ყველა ტირის, ბიჭო იგორ!

— რაო, რა უნდათ.

— ნურსად წავაო, შინ დაბრუნდესო.

— არა!

— ტირიან, იგორ, შენი მეზობლები, დაბრუნდესო.

— არა!

— შენ ვინ გაგდებს, ბიჭო! გააფრინე?!

— არც არავინ მაგდებს, მაგრამ...

— აბა რა გჭირს, იგორ!

— იცი რა... რუსებმა ჩემი დედის ძმისშვილი მოკლეს გორში, კობა სისაური.

— მერედა შენ რა შუაში ხარ. შენ კი არ მოგიკლავს.

იგორს ცრემლები წასკდა, ქვითინი აუტყდა.

— შენ რა... — გიასაც აუტყდა ქვითინი... — ამის გამო ვინმე გაგდებს აქედან?! შენ რა გაწუხებს, ბიჭო?!

— სინდისი.

მალე თვითმფრინავში ჩასხდომა გამოაცხადეს.

ტიროდა იგორი.

ტიროდა გიაც.

ეხვეწა გია, მაგრამ მისმა მუდარამ არ გასჭირა.

გაფრინდა რუსი.

მალე ცა მოიქუფრა, გრუხუნის ხმა გაისმა, ეტყობოდა ჭურვი ჩამოაგდეს სადღაც.

გარემო შეზანზარდა, მერე მოიჟამა მიდამო.

**ანზორ გვარამია**

სულთათანა

# მამის მონატრება

**ახმედ გუგუნავას 100 წელი შეუსრულდებოდა...**



ყოველთვის ვამაყობდით თქვენი კაცური ღირსებებით, უბადლო, ბაჯაღლო პატიოსნებით, მოყვასთან ურთიერთობის ღვთიური მადლით, ოჯახისა და ქვეყნის ერთგულებით, — ძვირფასო მამა.

ბედუკუღმართობამ ტკივილიანი გზებით გატარა, მაგრამ ქედი არ მოგიხრიათ. ოცდაჩვიდმეტის სუსხმა ჩვენი სახლის ფანჯრებიც ჩალეწა და სრულიად უდანაშაულო ოქროკაცს კატორღული ცხოვრება გარგუნა. სულით მაინც არ დაცემულხარ. ნამუსის ქუდს, რომელსაც ასე იმშვენებდი, წუთისოფლის სიბილწე არასოდეს გაკარებია.

სულით ძლიერს, სიმართლის სამართალი არ დაგიკარგავს.

იმ შავი დღეებიდან ოცი წლის შემდეგ ცხოვრების უმძიმეს აკადემიაგამოვლილი დაუბრუნდი შენზე მლოცველ, მომლოდინე და მოსიყვარულე ოჯახს; ცდილობდი, ერთბაშად დაგეხარჯა ესოდენ მონატრებული მამობრივი სითბო და მზრუნველობა. შეუძლებლის გაკეთება შესძელი ოჯახის მოსაღონიერებლად, მისი მტკიცე ბალავრის დასაცავად და ასაყვავებლად.

მკაცრიც იყავი და მომთხოვნიც. თითოეულ ჩვენს ნაბიჯს ამოწმებდი, აკვირდებოდი. ჩვენც ხომ უთქვენოდ არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაგვიდგამს. თქვენი ხმამაღალი, საყვედურნარევი სიტყვაც არ გვახსოვს, ვიცოდით ოჯახში წესრიგგამრიგე მთავარსარდლის ფუნქცია გქონდათ დაკისრებული.

ძვირფასო მამა, ჩვენ თქვენგან ვილებდით ცხოვრების გაკვეთილებს, რა გამოგვილევს თქვენთან დაკავშირებულ კეთილ და ძვირფას მოსაგონარს. შვილები ხშირად გამოვიხმობთ წარსულიდან იმ ნანატრ, ულამაზეს წლებს, როცა ერთად ვიყავით დედა, მამა, მამიდა გუგუცა; ჩვენ გვიყვარხართ და გვახსოვხართ ტკბილმოუბარნი, მოფუსფუსენი, ჩვენზე ზრუნვითა და სიყვარულით გასხივოსნებულნი.

აგერ უკვე თერთმეტი წელი გასულა უთქვენოდ, მაგრამ ჩვენ თქვენეული ცხოვრების წესისთვის ერთი წუთითაც არ დაგვიხვევია.

ვგრძნობდით, რომ ამაყობდით ჩვენით. ჩვენი დიდი ოჯახები კიდევ უფრო გაიზარდა, გაიშალა და გალამაზდა. თქვენს შემდეგ მოვლენილ შვილებს და შვილთაშვილებს ხშირად ვუყვებით თქვენი ცხოვრების ამაღლებულ და საინტერესო ეპიზოდებს. გვინდა, მათაც იამაყონ წარსულის ფესვებით, სახელოვანი წინაპრით.

საზოგადოებაში მუდამ დაფასებული და სამაგალითო იყავი. ყოველთვის საპასუხისმგებლო საქმეს განდობდნენ. გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით, უმწიკვლოებით, პატიოსნებით, უბრალოებით, ქველმოქმედებით.

ადამიანში ღირსების დანახვა და დაფასება იცოდი. თქვენეული შეფასების კრიტერიუმი მხოლოდ მაღალ სულიერ ფასეულობას ეფუძნებოდა.

დაბადებიდან 100 წელი შეგისრულდა, საუკუნეგატოლებულს ზეციურ საქართველოში გვესიყვარულებით. განვლილმა წლებმა ვერაფერი დააკლო ჩვენს სიყვარულს, რომელსაც მამაშვილობა ჰქვია. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ, რომ თქვენი სპეტაკი, ციურ ნათებასავით ცინცხალი სული მფარველ ანგელოზად თავს გვევლება და გზას გვილოცავს.

გმადლობთ მამა, ასეთი ღირსეული და სამაგალითო სიცოცხლისთვის, ასეთი სიყვარულისთვის.

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული.

თქვენი
**ნანი და რესან გუგუნავები**

მეუღლე ვახუშტი-ვახტანგ ჯაფარიძე, შვილები მანანა, ლევან ჯაფარიძეები, შვილიშვილი სოფიკო იოსელიანი ოჯახით, სიძე შალვა იოსელიანი, რძალი ნანა ჯაფარიძე, დისწულები ციცო ასათიანი, ოთარ, მარიკა გეგიაძეები, შორენა აბაშიძე ოჯახებით, მაზლიშვილები გია, ნიკო, თაია, დათო ჯაფარიძეები ოჯახებით, მულიშვილები ნიცა, თამრიკო, ქეთინო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარგალიტა-ტატულია ერქომაიშვილი

პანაშვიდი 13 VIII, 16 სთ. დაკრძალვა 14 VIII, 15 საათზე, მისამართი: იაკობ ნიკოლაძის №8, მეოთხე სართული.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ძველი თბილისის რაიონული კავშირის თავმჯდომარეს ვახტანგ ჯაფარიძეს მეუღლის

მარგალიტა ერქომაიშვილი-ჯაფარიძის გარდაცვალების გამო.

ვეტერანთა ცენტრალური, საქალაქო და რაიონული კავშირები

ინფორმაცია

## შამბას აზრით, ქართველებს არმია არ უნდა ჰყავდეთ

**აფხაზეთი საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, საქართველოს საკუთარი შეიარაღებული ძალების ყოლის უფლება შეუზღუდოს, — იუწყება „ინტერფაქსი“.**

საქართველო იყო დამოუკიდებელი 1918 წლიდან 1921 წლამდე და 1990 წლიდან დღევანდელ დღემდე, ამ პერიოდის განმავლობაში მათ შვიდი ომი აწარმოეს, —აცხადებს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. შამბას მიაჩნია, რომ ამ გამოცდილების მიხედვით, საქართველოს არმია უნდა ჩამოერთვას.

## პირველი საფრანგეთი დაგვეხმარა



**საქართველოში პირველი ჰუმანიტარული დახმარება ჩამოვიდა, რომელიც ქვეყანამ საფრანგეთიდან მიიღო.**

— ჩვენ ვცდილობთ, საქართველოს შეძლებისდაგ-



ვარად დავეხმაროთ. ჩვენს მიერ ჩამოტანილი ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტის ზონიდან დევნილ მოსახლეობას დაურიგდება და ამ ეტაპზე მათ მდგომარეობას შეამსუბუქებს, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ.

## გერმანელები მილიონი ევროთი დაგვეხმარებიან

**გერმანიის ფედერალურმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფედერალური საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის მითითებით საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების სახით 1 მილ. ევრო გამოუყო.**

დახმარება განკუთვნილია კონფლიქტური რეგიონიდან გამოქცეული მოსახლეობისა და გამოყენებული იქნება დროებითი თავშესაფრების მოსაწყობად, სამედიცინო და სხვა სახის დახმარების გასაწევად.

ფინანსური დახმარება გადაეცემა გაეროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომისარიატსა და წითელ ჯვარს, რათა დახმარება გაეწიოს დაზარალებულ სამოქალაქო მოსახლეობას.

## ინვესტიციები საქართველოს განვითარებისთვის

**აშშ მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს და მზადყოფნას გამოთქვამს, შეუერთდეს სხვა ქვეყნებს სწრაფვაში, დაეხმარონ საერთაშორისი საფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოს განვითარებაში ინვესტიციებს დებენ, — ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის ეკონომიკის მინისტრის მოადგილის რობერტ კამიტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

მისი თქმით, ქართული ეკონომიკა გატარებული რეფორმების მიხედვით ერთ-ერთი უძლიერესია რეგიონში და რეფორმებისადმი სწრაფვა საერთაშორისო მხარდაჭერას იმსახურებს.

## გორში ჰოლანდიელი ოპერატორი დაიღუპა

**— გუშინ გორის ცენტრალური მოედანი დაიბომბა, — ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი თენგო გოგოტიშვილი გორიდან იუწყება.**

აფეთქების შედეგად დაიღუპა ჰოლანდიელი ოპერატორი და დაიჭრა ბერძნული გადამღები ჯგუფის ქართველი მძღოლი. დაჭრილი მძღოლი ტელეკომპა-



ნია „რუსთავი 2-ის“ გადამღებმა ჯგუფმა თბილისში წამოიყვანა. მცხეთასთან მათ სასწრაფო დახმარების ბრიგადა შეხვდათ.

მანამდე, რუსული ბომბდამშენების მიერ გორის სატელევიზო ანძა დაიბომბა.



## ცხინვალიდან გუშინ დაჭრილები და დაღუპულები ვერ გამოჰყავდათ

**ეს ინფორმაცია საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მოგვაწოდა.**

მინისტრის ინფორმაციით, ამას ვერც „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაცია ახერხებს, რადგან რუსეთის მხარე კორიდორის გაკეთებაზე კვლავ უარს აცხადებს.

ალექსანდრე კვიტაშვილის ინფორმაციით, კორიდორის შესახებ ყველა მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

**ძვირფასო მკითხველო!**

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

ანეკდოტები

— ქალიშვილო, არაყს სვამთ?
— ეს კითხვაა თუ შეთავაზება?
— ამ ეტაპზე — კითხვა.
— მაშინ არ ვსვამ.
— თუ შეთავაზებად ჩათვლით?
— მაშინ ვსვამ.



* * *

ებრაელი გულამოსკვნით ტირის და ბლავის საფლავზე.
— შე უბედურო, რად მოკვდი ასე ადრე?
— ვის დასტირი ასე გამწარებული? — ეკითხება სასაფლაოს დარაჯი.
— ჩემი ცოლის პირველ ქმარს.

* * *

დაბნეული ცოლ-ქმარი სახლის სიახლოვეს დგას.
— რამ აგაფორიაქათ ასე? — ეკითხება მეზობელი.
— ნამდვილი კოშმარია. გარაჟის გასაღები ბინაში დაგვრჩა, ბინის გასაღები მანქანაშია, მანქანა კი — გარაჟში.

* * *

ზის ვასილ ივანიჩი, სადილობს.
შემორბის მეზობელი და ყვირის:
— ვასკა! შენი ცოლი გარდაიცვალა!
ვასილ ივანიჩი უხმოდ განაგრძობს ჭამას.
— ვასკა, ცოლი მოგიკვდა-მეთქი, შენ კი როგორი მშვიდი ხარ?!
— მაცალე, სადილს მოვრჩები და ნახავ, რა ისტერიკაში ჩავვარდები!

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.